საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალური ჟურნალი

№1 · ივლისი · 2019

ჩემი ადვოკატი



იცოდე და დაიცავი შენი უფლებები

ჩემი ადვოკატი

გამომცემელი
© სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ძმ.ზუბალაშვილების ქ. 36
თბილისი 0108
საქართველო
ტელ: +995 32 2 98 78 78
ელ.ფოსტა info@gba.ge
www.gba.ge

რედაქტორი
ეკა ხიმშიაშვილი
e.khimshiashvili@gba.ge
დაკაბადონება და დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
მხატვარ-ილუსტრატორი
სოფო კირთაძე
ჟურნალის ყდა
მაკა ზედელაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის სარედაქციო გუნდი

თავმჯდომარე
დავით ასათიანი

აღმასრულებელი მდივანი
გიორგი ჭეხანი

ადმინისტრაციის უფროსი
სალომე ტყეშელაშვილი

სარედაქციო კოლეგია
თორნიკე ბაქრაძე
ციცინო ცხვედიანი
ვახტანგ მჭედლიშვილი
ირაკლი ბურდული
ირაკლი ყანდაშვილი
მარინე ნიქაბაძე
კონსტანტინე კორკელია
ანა ხურციძე
სესილი ქადარია
თამთა მურადაშვილი

ISSN-1987-5 479

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

08
ადვოკატის დასკვნითი სიტყვა და მისი მნიშვნელობა

16
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები

24
ჭარბვალიანობა, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი

38
საქართველოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის სამართლებრივი ასპექტები

04
კოლეგიალობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა

12
როგორ ვაქციოთ ორატორობა მთავარ იარაღად?

20
ინტერვიუ რაჭდენ კუპრაშვილთან

28
უძრავ ნივთზე რეგისტრირებული მესაკუთრის და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა დაბალანსების პრობლემატიკა და მისი გადაჭრის შესაძლო გზები

34
მედიაცია და ეფექტური მართლმსაჯულება

44
როგორ მოქმედებს მოზარდის განვითარებაზე პენიტენციური სტრესი?

54
„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მიმოხილვა

ძვირფასო მკითხველო,

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროფესიული ორგანიზაციაა, რომელიც 5 ათასზე მეტ ადვოკატს აერთიანებს და წარმოადგენს მათ ინტერესებს.

ადვოკატთა ასოციაციას, ისევე როგორც თითოეულ ადვოკატს, მნიშვნელოვანი როლი აკისრია სამართლის უზენაესობის განმტკიცების, ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისა თუ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს შენების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

მართალია, ადვოკატთა ასოციაცია ამჟამინდელი ორგანიზაციული ფორმით 2005 წელს დაფუძნდა, მაგრამ ადვოკატების პირველი დამოუკიდებელი პროფესიული გაერთიანება - ქართული ადვოკატურა 1919 წლის 11 ნოემბრიდან იღებს სათავეს. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტი, რომლითაც გაუქმდა რუსეთის იმპერიის ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც რწმუნებულთა ინსტიტუტი და დაარსდა დამოუკიდებელი საქართველოს ნაფიც ვექილთა (ადვოკატთა) საბჭო, რაც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელი ქართული ადვოკატურის ისტორიის ათვლის წერტილად.

შესაბამისად, მიმდინარე წელს ჩვენი პროფესია დამოუკიდებლობისა და ერთიანობის 100 წლის იუბილეს ზეიმობს, რაც არაერთი სამართლებრივი, სოციალური თუ კულტურული ღონისძიებით აღინიშნება.

სიმბოლურია ისიც, რომ ასოციაციის ჟურნალის გამოცემა, განახლებული კონცეფციითა და ფორმატით, სწორედ საიუბილეო წელს განხორციელდა. ასოციაციის განახლებული ჟურნალი აქტუალურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ იურიდიული წრეებისათვის, არამედ ჩვენი ნებისმიერი თანამოქალაქისათვის. ჟურნალ „ჩემი ადვოკატის“ პირველი, ისევე როგორც მომდევნო ნომრები, მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, რომელიც ეხმიანება სოციალური და სამართლებრივი ცხოვრების თანამედროვე გამოწვევებს და აქტუალურია ჩვენი საზოგადოებისთვის.

თითოეულ მკითხველს მინდა გისურვოთ წარმატება და გამოვთქვა იმედი, რომ ჟურნალ ,,ჩემი ადვოკატის“ ერთგული მკითხველი გახდებით, ხოლო თავად ჟურნალი, თქვენი საიმედო გზამკვლევი იქნება სამართლებრივ ლაბირინთებში.

პატივისცემით,

დავით ასათიანი
თავმჯდომარე

კოლეგიალობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა: ეთიკის კომისიის პრაქტიკა და განმარტებები

ავტორი: თორნიკე ბაქრაძე
ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ადვოკატი, როგორც თვითრეგულირებადი და თავისუფალი პროფესიის პირი, საკუთარი ქცევით ხელს უნდა უწყობდეს ადვოკატთა როლის გაძლიერებას მართლმსაჯულების სისტემაში და საზოგადოების ნდობის მოპოვებას ადვოკატის პროფესიის მიმართ. ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-12 მუხლის თანახმად, „ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შენარჩუნებაზე". ადვოკატის პროფესიული როლის გაძლიერებისთვის „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ადვოკატთა სახელმძღვანელო ღირებულებებად განსაზღვრავს: კანონიერებას; სამართლის უზენაესობას და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელებას; პროფესიულ კომპეტენტურობას; ადვოკატის კეთილსინდისიერებას, კარგ რეპუტაციას და იურიდიული პროფესიის პატივისცემას; საადვოკატო საქმიანობის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას; ადვოკატთა თანასწორობასა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობას; საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობას; ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემასა და დაცვას; ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას; ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას.

საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე არსებითია ადვოკატებს შორის კოლეგიალური ურთიერთობა, რომელიც უნდა ემყარებოდეს პატივისცემასა და პროფესიული ღირებულებების დაცვას.[1] ადვოკატები ურთიერთობისას უნდა იცავდნენ პროფესიულ ღირსებას, პატივს სცემდნენ თავიან საქმიანობას და ზრუნავდნენ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.[2] ევროგაერთიანების ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის 5.1.1 პუნქტის თანახმად, „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ურთიერთობაში ნდობასა და თანამშრომლობას მათი კლიენტების სასარგებლოდ და არასაჭირო სასამართლო გარჩევისა და სხვა საქციელის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც პროფესიის რეპუტაციისათვის საზიანოა".

კოლეგებისადმი გამოხატული თავაზიანობა არის ცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს

ადვოკატის ქცევა უნდა პასუხობდეს ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში, მისი მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებას, ეთიკის სტანდარტებს, რომლის დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი

მართლმსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას. კოლეგიალობის პრინციპით განსაზღვრული – ადვოკატის მიერ პროფესიული ღირებულებების დაცვა გულისხმობს მათ მიერ ეთიკის კოდექსით განსაზღვრული პირადი ღირსების, პატიოსნების, შეუვალობის, კომპეტენტურობის, კანონიერების დაცვას, ასევე, პროფესიული პრინციპების – დამოუკიდებლობის, ნდობის, კონფიდენციალურობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დაცვის ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა კორპორატიული ერთობის და მათი საერთო კორპორატიული ინტერესებიდან, იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.[3]

ადვოკატთა მიმართ არსებული პროფესიული ქცევის მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესით და ვრცელდება ადვოკატებს შორის ურთიერთობებზე. „ეთიკის კოდექსი" შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში, როგორიცაა კოლეგიალობის პრინციპი, სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება, პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება. ადვოკატის ქცევა უნდა პასუხობდეს ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში, მისი მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებას, ეთიკის სტანდარტებს, რომლის დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი". [4]

ადვოკატს კოლეგების მიმართ განსაკუთრებული ვალდებულებები აქვს, მათ შორის, არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. კოლეგიალობის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.[5]

ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან და ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლე-

გიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ გამოხატვის უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, „ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად“.

ეთიკის კომისია პრაქტიკით ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს ადგენს, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ იურიდიული პროფესიის მქონე სხვა პირების, ადვოკატების მიმართაც. „ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.[6] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“. აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლში არ არის გათვალისწინებული ადვოკატის ამ იმუნიტეტის შეზღუდვის შემთხვევა, თუმცა, კომისიას მიაჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვას, რადგან ეს მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობას და ადგენს, რომ „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

„საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კლიენტის ინტერსების წარმოდგენისას იღებს გადაწყვეტილებას სხვა ადვოკატის პოზიციის გაზიარების ან მხარდაჭერის თაობაზე“.[7]

კომისიის განმარტებით, „ადვოკატები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ“.[8] გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი.[9] თუმცა, ადვოკატი ვალდებულია საჯარო განცხადებების გაკეთების დროს დაიცვას ინფორმაციის სისწორე. ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, მაშინ, როდესაც მისი კომენტარები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე.[10]

შესაბამისად, ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადასტურებს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტისადმი სწრაფვას, რაც ნაკარნახევია დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატთა განსაკუთრებული როლით მართლმსაჯულების სისტემაში. ამასთან, ეთიკის კომისია ამკვიდრებს ადვოკატებს შორის ურთიერთობის მაღალ სტანდარტს, სადაც ერთის მხრივ დაცულია, ადვოკატების გამოხატვის თავისუფლება, ხოლო მეორეს მხრივ კოლეგიალური მიდგომა. ადვოკატის ქცევა კოლეგასთან ან პროფესიასთან მიმართებაში, თუ ამით ზიანი ადგება ადვოკატთა კორპუსის კორპორატიულ ინტერესს – მოიპოვოს საზოგადოების ნდობა პროფესიის მიმართ, ექვემდებარება კოლეგიალობის პრინციპით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7, მუხლი 10.1

2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულა

3 ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ, ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, თ. ხუბულური, თბილისი, 2013 წ გვ. 121

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, 2015 წლის 6 მაისი, დს-ბ/5-15

5 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე №086/18, 01.11.18

6 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

7 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე N100/12, 20.08.12

8 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე N069/11, 05.09.2011

9 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე №076/10, 29.10.2010

10 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე №069/11, 05.09.2011

სამართლის უზენაესობა და ხარისხიანი მართლმსაჯულება

პროფესიული საიდუმლოების დაცვა

იურიდიული პროფესიის ღირსება და ადვოკატთა ეთიკა

კოლეგების პატივისცემა

კლიენტის ინტერესების ერთგულება

მკვლელობა და დამოუკიდებლობა

პროფესიული კომპეტენცია

ადვოკატის დასკვნითი სიტყვა **და მისი მნიშვნელობა**

ავტორი: გიორგი ტურაზაშვილი
ადვოკატი

„თავად მოსამართლეებს უთქვამთ: „მიუხედავად მთელი სასამართლო პროცესის ჩემს წინაშე მიმდინარეობისა, ადვოკატის დასკვნითმა სიტყვამ დიდი დახმარება გამიწია სრულად და დეტალურად დამენახა ბრალდებულის უდანაშაულობა".

ადვოკატი, ანუ დაცვის მხარე, დასკვნითი სიტყვით გამოდის და შეიძლება ითქვას, ამით ასრულებს სასამართლო განხილვას. წარმოუდგენელია ადვოკატი დასკვნითი სიტყვის შესრულების გარეშე. ამ დროს არის ადვოკატის როლის საუკეთესო გამოვლინების შანსი და ამას ეფექტურად იყენებენ პროფესიონალი ადვოკატები. შეიძლება ითქვას თვეების მანძილზე, სწორედ ამ მომენტს ელოდებოდა ადვოკატი, რათა მოსამართლის წინაშე მოეხდინა შეჯამების და დაცვის მხარის პოზიციის სისწორის ეფექტი, ანუ რატომ უნდა დასრულდეს მოსამართლის მიერ მისი კლიენტის სასარგებლოდ საქმის განხილვა. ძლიერ სისხლის სამართლის სპეციალისტს, სისხლის სამართლის სამეცნიერო ხარისხის დამსახურებულად მატარებელ პირს, რომელიც არ არის ადვოკატი, შეიძლება გაუჭირდეს დასკვნითი სიტყვის დემონსტრირება მიუხედავად მისი ძლიერი სისხლის სამართლებრივი საქმის ანალიზისა, რადგან დასკვნითი სიტყვის წარმოთქმას პროფესიული უნარი და ხელოვნება ესაჭიროება, რათა თვეების მანძილზე შესრულებული ნაშრომი სპეციალური მიდგომით იქნას მოსამართლის მიერ მოსმენილი და წარმოდგენილი. სწორედ დასკვნითი სიტყვის დროს ჩანს ადვოკატის გულმოდგინება და შემოქმედებითი მიდგომაც, რაც აკადემიურობასთან ერთად, ეფექტურს ხდის მის სიტყვას და მოსამართლეზე სწორ გავლენას ახდენს, რომლის მიზანი კლიენტის კანონიერი უფლების ეფექტური რეალიზაციით მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელშეწყობა ხდება. დასკვნითი სიტყვის დანიშნულებაზე საუბრისას, ყოველთვის ვხედავთ ადვოკატის როლს ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ და რომ არა ეს სიტყვა, სასამართლოს გაუჭირდება ობიექტური და ნამდვილი გადაწყვეტილების გამოტანა, რადგან მოსამართლე ადვოკატისგან ისმენს ბრალდებულის ირგვლივ არსებული ისტორიის, მსჯელობის, მტკიცებულე-

ბების ანალიზსა და მათ დანიშნულებას მართლმსაჯულებისათვის.

ადვოკატის დასკვნით სიტყვას გააჩნია თავისებურებანი. რა თქმა უნდა სიტყვა ყოველთვის ინდივიდუალურია ადვოკატის კლიენტის წინაშე წაყენებული ბრალდების არსიდან გამომდინარე, თუმცა მაინც გააჩნია ის აუცილებელი პროფესიული საერთო კომპონენტები, რაც მას ეფექტურობას მატებს. ადვოკატი, სიტყვით გამოსვლისას, ზოგჯერ წერილობით ფორმასაც ამჯობინებს, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ის ზეპირი სახით, ანუ „ცოცხალი შესრულებით" მეტ ეფექტს იძლევა, რომლის ტექნიკასაც ადვოკატი პროფესიული განვითარების გზაზე თანდათანობით იძენს. დასკვნითი სიტყვა მხოლოდ ზეპირად არ წარმოითქმის, არამედ მას ახლავს არავერბალური, ფიზიკურ-ჟესტიკულაციური, ემოციური და სხვა და სხვა მახასიათებლები. პროფესიონალებს უთქვამთ, რომ რამდენიმე ოქროს წესი არსებობს ადვოკატისათვის, რომელსაც ის იცავს მისი საქმიანობის ეფექტურობისათვის. გარდა კლიენტის ირგვლივ არსებული ფაქტების ზედმიწევნით ცოდნისა, საჭიროა ადვოკატს დასკვნითი სიტყვის თავისივე ვერსიის სჯეროდეს. საამისოდ ის შრომატევად გზას გადის, რომლის გარეშეც შეუძლებელია დამაჯერებლობა შესძინო შენს საბოლოო გამოსვლას სასამართლოში. ადვოკატი დასკვნით სიტყვამდე გადის მთელ რიგ პროცესებს დაწყებული გამოძიებით და დამთავრებული სასამართლო განხილვებით. თუ წარმოვიდგენთ, რომ ადვოკატი შემთხვევის ადგილზე თავად არის ნამყოფი და თანაც დღის იმ მონაკვეთში, როდესაც სავარაუდოდ მომხდარია მის კლიენტთან დაკავშირებული შემთხვევა, მის დასკვნით სიტყვას მეტი დამაჯერებლობა აქვს.

დასკვნითი სიტყვის ძირითადი სტრუქტურული არსი, სულ მცირე, შეიძლება ამ ფორმულით წარმოვიდგინოთ: ფაქტები, მტკიცებულებები. თუმცა, თავად ეს ორი მიმართულება ერთობლიობაში შერწყმული არც თუ ისე ადვილია წარმოსათქმელად. დასკვნითი სიტყვა წარმოადგენს შესავალი სიტყვისას ადვოკატის მიერ მოსამართლისათვის შეპირებული თემის, ვერსიის დამტკიცებას. თემა, ანუ რა ჰქვია ადვოკატის კლიენტის ისტორიას, ერთი ან ორი წინადადებით ნათქვამი შესავალი სიტყვიდან სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის მთელ პროცესს გასდევს და ბუნებრივია ეს არ ხდება ავტომატურად, არამედ ამას ახერხებს ადვოკატი, რომელიც დასკვნით სიტყვამდე მონაწილეობს სახელმწიფო ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევაში, როგორც ცოცხალი, ანუ მოწმეთა გადაკითხვის გზით, ისე წერილობითი და საგნობრივი მტკიცებულებების შესახებ მათი ნამდვილობის და რელევანტურობის შემოწმებით. თემა წარმოადგენს არა მხოლოდ დასკვნითი სიტყვის, არამედ ადვოკატის საქმის ხერხემალს, რომელიც მოსამართლეს, მათ შორის ნაფიც მსაჯულებს ეხმარება მომხდარის აღქმაში.

დასკვნითი სიტყვის ნაწილია ძლიერი დასაწყისი, როგორც ამერიკელი ადვოკატები უწოდებენ – „ჰუკი" და ძლიერი დასასრული. „ჰუკი"-ს გამოყენება მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულთა ყურადღების სწრაფად მიპყრობას, ყურადღების მიქცევას, სიტყვის მნიშვნელობას ემსახურება. ძლიერი დასაწყისი ერთ ან მაქსიმუმ ორ წინადადებაში გამოიხატება, რომელიც ადვოკატის კლიენტის ირგვლივ მომხდარს არქმევს გარკვეულ სათაურს (ეს არ არის თემა), რომლის შინაარსი შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ ბრალდებიდან გამომდინარე, ასევე ხატოვან-შედარებითი სახის და მათ შორის ლიტერატურული, ისტორიული ან ტრადიციული გამონათქვამი რომელიც აღძრავს სამართლიანობისა და ლოგიკურობის განცდას მსმენელში. დასკვნითი სიტყვა სრულდება ასევე ძლიერი დასასრულით, რომელიც ჰარმონიულად არის მიბმული და ატარებს დასკვნის, შეჯამების შინაარსობრივ ხასიათს. მეტიც, დასასრულს ადვოკატი მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს პირდაპირ ეუბნება თუ რა უნდა გააკეთონ მათ, რა სახის გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

მტკიცება და მტკიცებულებების შესახებ დეტალური საუბარი ადვოკატის პოზიციის დასაბუთების იარაღია. სწორედ მტკიცებულებების შინაარსობრივი და ფიზიკური დემონსტრირებით, ადვოკატი ახდენს დაცვის მხარის პოზიციის მტკიცებას, რაც წარმოადგენს სასამართლო განხილვის მთავარ შემადგენელ ნაწილს. ერთ-ერთი ადვოკატი ახდენს სუბსუმციას ანუ იყენებს კანონებს და მიუსადაგებს მის ვერსიას. სუბიექტურობის გამორიცხვის ერთ ერთი საშუალებაა ასევე კანონების სწორად შერჩევა და მათი მუხლებისა და პუნქტების გამოყენება. მეტიც, ადვოკატისთვის არსებობს ეგრეთწოდებული ცენტრალური და დამხმარე რეგულაციებიც.

დასკვნითი სიტყვა, მსჯელობისა და დემონსტრირებული სახით ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია. ადვოკატი, მოსამართლის წინაშე, ზეპირი მსჯელობის ფორმას იყენებს. ზეპირი სახით აკეთებს ანალიზს – ადარებს ფაქტებს, მტკიცებულებებს, თავად სვავს კითხვებს, რომელსაც მოსამართლე ან მსაჯული დასვავდა და რაც მთავარია ზეპირი მსჯელობისას, თავად პასუხობს თუ როგორი უნდა იყოს კლიენტისადმი სასამართლო დამოკიდებულება. ასეთი ტექნიკით ადვოკატი ახდენს მოსამართლისადმი მინიშნებას თუ როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი.

დასკვნითი სიტყვისას პროფესიონალი ადვოკატი ახერხებს განხილული საქმის ფაქტობრივ სურათში მოსამართლის ჩართვას. მოსამართლე და/ან ნაფიცი მსაჯული მომხდარის ვირტუალური მონაწილე ხდება, რაც კომფორტულია გადაწყვეტილების გამომტანისათვის (ვერდიქტი). ხოლო დამაჯერებლობისათვის კი იყენებს მტკიცებით მიდგომას – მოჰყავს განხილული მტკიცებულებებიდან არა საკუთარი კონტექსტი, არამედ კონკრეტული ციტირებები. მეტიც, არსებობს ტენდენციაც, რომ კონკრეტული მტკიცებულებებიდან ამონარიდი ყოფილა დასკვნითი სიტყვის დასაწყისი, ეგრეთწოდებული „ჰუკი", რომელიც უკვე ვახსენეთ.



სანამ შეჯამებას შევეხებოდეთ, მნიშვნელოვანი კომპონენტია, უკვე ნახსენები, ადვოკატის არავერბალური პროფესიონალური ქცევა სასამართლო დარბაზში. გარდა ზეპირიმეტყველებისას, ტონალობის ცვალებადობისა, ადვოკატის დგომა, გადაადგილება, ჟესტიკულაცია და მზერა უნდა ხორციელდებოდეს იმ ინფორმაციის შესაბამისად, რომელსაც ადვოკატი აჟღერებს მოსამართლის წინაშე. ადვოკატის მზერა ყოველთვის მიმართულია მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულებისაკენ.

შეჯამება – ანუ ძლიერი დასასრული. სიძლიერე გამოიხატება იმაში, რომ ის არ უნდა იყოს განყენებულად წარმოდგენილი, არამედ აგრძელებდეს გამოთქმულ აზრს და ატარებდეს დასკვნის სახეს, სადაც ადვოკატი პირდაპირ ამბობს თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ, რა უნდა გააკეთონ მსაჯულებმა და რომ ეს გადაწყვეტილება არა მხოლოდ ლოგიკური და ადექვატურია, არა მხოლოდ იმიტომ რომ ადვოკატი თვლის ასე, არამედ ის დამტკიცებულია, მტკიცებულებებით გაჯერებულია და ემსახურება ობიექტურ მიდგომას – ადამიანის უფლებებს.

ძლიერი დასკვნითი სიტყვა წარმატების მომტანია და ასეთ დროს ადვოკატის პროფესიული როლი ნიშანდობლივია, როგორც ადამიანის უფლებებისათვის, ისე მართლმსაჯულებისათვის.

და ბოლოს, კიდევ ერთი ოქროს წესი, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს დასკვნით სიტყვასთან არის ის, რომ ის არ უნდა იყოს სპონტანური, არამედ მოითხოვს წინასწარ მომზადებას და ანალიზს.

როგორ ვაქციოთ ორატორობა მთავარ იარაღად?

ავტორი: გიორგი თარგამაძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი. სტრატეგიული ანალიზის ცენტრის (GSAC) დამფუძნებელი

ბრიტანულ სამართალწარმოებაში ადვოკატის ორი კატეგორია არსებობს: Barrister – პროფესიონალი დამცველი, რომელიც სასამართლო დარბაზებში საქმეებს წარმოადგენს ზეპირი არგუმენტირების აქტიური გამოყენებით და Solicitor – ასევე იურიდიული პროფესიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომლის პროცესებში ჩართულობაც დოკუმენტებთან მუშაობით გამოიხატება. ბარისტერები გამორჩეულად კარგი ორატორები არიან, რაც ახსნისა და დარწმუნების თეორიების კარგად ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებაში გამოიხატება. ამისთვის მათ არაერთი სპეციალური კურსი აქვთ გავლილი.

ადვოკატებს ხშირად უწევთ სიტყვით გამოსვლა კლიენტებთან ურთიერთობისას, სასამართლო პროცესებზე და მედია საშუალებებში. ამას გარდა, ისინი საქმიანობენ აკადემიურ სფეროში, ხდებიან პროფესორები, ლექტორები. ორატორული უნარების ქონა ყველა ზემოხსენებული როლის წარმატებულად მორგების წინაპირობაა.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო გამოსვლის უნარი თანდაყოლილი არ არის და შეძენილია, ისევე, როგორც ცურვა ან ველოსიპედის ტარება. იმისათვის, რომ ამ მიმართულებით განვითარება გაგიადვილდეთ, მსურს შემოგთავაზოთ რამდენიმე რჩევა:

- თუ თქვენი საჯაროდ გამოსვლა დაგეგმილია, შესაბამისად სიტყვაც წინასწარ უნდა მოამზადოთ. აუცილებელია, რომ თქვენი სიტყვა ხშირად გაიმეოროთ. გაიმეორეთ დილას, როდესაც გაიღვიძებთ, შხაპის მიღებისას, ტრანსპორტით მგზავრობისას. იმეორეთ ყოველთვის, როდესაც ამისათვის შესაფერისი დრო და ადგილი გექნებათ. წარმოთქვით ხმამაღლა, თუ ამას ვერ ახერხებთ – გონებაში იმეორეთ.

- ყურადღება მიაქციეთ ჩართულებს როგორებიც არის: „ანუ“, „ისა“ , „ხო და“, „აა“, „მმ“ და სხვა მრავალი. შეეცადეთ ისინი პაუზით ჩაანაცვლოთ.

- სთხოვეთ თქვენს მეგობრებს ან ოჯახის წევრებს, მოგისმინონ და გითხრან თავიანთი აზრი გამოსვლასთან დაკავშირებით. ეს დაგეხმარებათ თქვენი ხარვეზების გამოსწორებაში. ამასთანავე, კარგი შეფასება თქვენს თავდაჯერებულობაზე დადებითად იმოქმედებს.

- სიტყვის წარმოთქმისას გადაუღეთ ვიდეოები საკუთარ თავს. ტექნოლოგიის განვითარებამ, ეს ყველაფერი გაამარტივა. ჩვენს მიერ უკვე კარგად აპრობირებული „სელფაობა“ შეგვიძლია გამოსადეგ ვარჯიშად ვაქციოთ.

მას შემდეგ, რაც ვიდეოს გადაიღებთ, უყურეთ და გაანალიზეთ გამოსვლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეეცადეთ აღმოფხვრათ თქვენი შეცდომები.

- წარმოისახეთ წარმატება. ვიზუალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანი და ძლიერი ელემენტია. თუ თქვენ კარგად მოემზადებით და თქვენს წარმოსახვაში ხშირად ატრიალებთ თქვენს სცენარს პერსპექტივაში წარმატებული გამოსვლის შესახებ, დამერწმუნეთ ეს ასეც იქნება. თუმცა თუ წარმოიდგენთ, რომ გამოსვლის დროს რაღაც გეშლებათ, ან სათქმელი გავიწყდებათ, ეს ნეგატიურად იმოქმედებს თქვენზე.

- ადამიანების უმრავლესობა საჯარო გამოსვლის წინ, ისევე როგორც გამოსვლისას ძალიან ნერვიულობს. მინდა გითხრათ, რომ ეს ცუდი სულაც არ არის. ნერვიულობა ემოციაა (E-Motion – Energy in Motion), ანუ ენერგია მოძრაობაში. მთავარია, რომ ნეგატიური ენერგია პოზიტიურად გარდაქმნათ.

- აუდიტორიას თავიდანვე გააცანით, თუ როგორ არის ორგანიზებული თქვენი სიტყვა. მაგალითად, თუ აპირებთ, რომ გამოსვლისას სამი არგუმენტი მოიყვანოთ, ეს თავიდანვე გაანდეთ თქვენს მსმენელს. ამით მათ მისცემთ საშუალებას გაიგონ თქვენი სიტყვის რა ეტაპზე ხართ. არ დაგავიწყდეთ, დასკვნაში გაიმეოროთ თქვენი სიტყვის მთავარი ასპექტები.

რჩევები საჯარო გამოსვლის უნარის გასაუმჯობესებლად

- ყურადღება მიაქციეთ როგორ იწყებთ თქვენს გამოსვლას. პირველი 10-20 წამი გადამწყვეტია, სწო-

იყავით ორიენტირებული თქვენს სათქმელზე და არა თქვენს თავზე. აუდიტორია გესწრებათ იმისთვის, რომ მოისმინონ თქვენი სათქმელი და არა იმიტომ, რომ შეაფასონ თქვენი საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევები.

რედ ამ დროს ყალიბდება თქვენი მსმენელი, მოგისმინოთ თუ არა. შეეცადეთ საუბარი დაიწყოთ რაიმე ისტორიის მოყოლით ან კითხვის დასმით, მთავარია თქვათ ან გააკეთოთ ისეთი რამ, რაც მათ ყურადღებას მიიპყრობს.

▸ მნიშვნელოვანია, მიეჩვიოთ თვალისმიერი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან. თუ ჩანაწერებში დაიწყებთ ყურებას, დამერწმუნეთ, აუდიტორიის დიდ ნაწილს მალევე დაკარგავთ. თვალისმიერი კონტაქტი აუდიტორიას ეხმარება იყოს ჩართული თქვენს გამოსვლაში, გაიზიაროს ემოცია, მოგისმინოთ ყურადღებით და გაიგოს თქვენი სათქმელი.

▸ მსმენელებს გარკვევით ესაუბრეთ. შეეცადეთ გამოსვლა არ დახუნძლოთ იურიდიული ტერმინებით, მაშინ როდესაც სამიზნე აუდიტორიას არ აქვს იურიდიული განათლება. მაგალითად: როდესაც მიმართავთ დარბაზს, სადაც არიან ნაფიცი მსაჯულები, ან აკეთებთ განცხადებას მედია საშუალებით.

▸ ნუ ისაუბრებთ სწრაფად, აუდიტორიას გაუჭირდება თქვენი საუბრის აღქმა.

▸ გამოიყენეთ პაუზა, სიჩუმე, ხმის ტონალობის ცვლილება. ეს დაგეხმარებათ მიიქციოთ აუდიტორიის ყურადღება. ნუ მოგერიდებათ ხმას ოდნავ აუწიოთ ან დაუწიოთ ისეთ მონაკვეთში, სადაც ხაზი გინდათ გაუსვათ თქვენს სათქმელს.

▸ გამოიყენეთ ისტორიები. მსმენელი პირად ისტორიებს უფრო იმახსოვრებს, ვიდრე ციფრებს და სტატისტიკას. ასევე, დაიმახსოვრეთ, რომ სწორად შერჩეული იუმორი გამოსვლის დროს ძალიან კარგია.

რჩევები, რომლებიც უნდა გახსოვდეთ თქვენი გამოსვლის დღეს

▸ შეეცადეთ ვიზუალურად კარგად გამოიყურებოდეთ. თავს გრძნობდეთ კომფორტულად. ეს დაგეხმარებათ აიმაღლოთ თვითშეფასება და თავდაჯერებულობა.

▸ რამდენიმე წუთით ადრე მიდით სიტყვით გამოსვლის ადგილზე. ეს ხელს შეგიწყობთ გარემოსთან ადაპტირებასა და სტრესის მოხსნაში.

▸ თუ შეატყობთ, რომ ნერვიულობთ, გახსოვდეთ, აუდიტორიის უმრავლესობას სურს, რომ თქვენმა გამოსვლამ წარმატებულად ჩაიაროს. თუ ნერვიულობა შეგეტყობათ – ნუ იღელვებთ, აუდიტორია ამ დროს თანაგრძნობით განეწყობა თქვენს მიმართ.

▸ იყავით ორიენტირებული თქვენს სათქმელზე და არა თქვენს თავზე. აუდიტორია გესწრებათ იმისთვის, რომ მოისმინონ თქვენი სათქმელი და არა იმიტომ, რომ შეაფასონ თქვენი საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევები.

▸ არ მიაქციოთ ყურადღება ადამიანებს, რომლებიც არ არიან ჩართული თქვენს გამოსვლაში ან თავი სმარტფონში აქვთ ჩარგული. აუდიტორიაში ყოველთვის გამოიძებნება მსგავსი ადამიანი. ნუ შეხედავთ მათ, იყავით ორიენტირებულნი მათზე, ვინც გისმენთ.

▸ გამოსვლა დაიწყეთ იმავე ენერგიით, რაც დარბაზშია. შეეცადეთ თქვენი გამოსვლის ენერგია აუდიტორიისას დაამთხვიოთ და თანდათან გადმოიყვანოთ თქვენს ტალღაზე.

და ბოლოს: სათქმელის, პირველ რიგში, მთქმელს უნდა წამდეს: რწმენა, გულწრფელობა და ენთუზიაზმი გადამდებია. ამ სიგნალს თქვენი სხეულის ენა, ხმის ტემბრი და ტონი გამოსცემს. მის მართვას კი შესაბამისი ტექნიკის სწავლა და ხშირი გამოყენება ჭირდება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: – ფართო აუდიტორიისთვის, ხშირად, – როგორ ვამბობთ – იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე რას ვამბობთ!



Д Е К Р Е Т И

ხაქაროველში ვექილობის უფლების განხაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალ ხაბჭოს არჩევისა.

I. ხაქაროველის ტერიტორიაზე ნაფიც ვექილად, მის თანაშემწედ და კერძო ვექილად შეიძლება იყოს მხოლოდ ხაქაროველის ქვეშევრდომი.

მ ე ნ ი შ ვ ნ ა I. მოაგრობის უფლება აქვს შეეთანხმდეს სხვა სახელმწიფოების მოაგრობათა, რომ ხაქაროველის მოქალაქე – ნაფიც ვექილხა, მის თანაშემწეხა და კერძო ვექილს უფლება მიეცეს აწარმოონ ხსენები ხაქმეები უფხი ქვეყნის სახამართლოებში იმ პირობით, რომ ასეთივე უფლება მიენიჭოს უფხი სახელმწიფოს მოქალაქე ნაფიც ვექილხა, მის თანაშემწეხა და კერძო ვექილს ხაქაროველში.

მ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. იმ ვექილს, რომელხაც ზემოაღნიშნულ მუხლით დაეკარგება უფლება სახამართლოში ხაქმისწარმოებისა, უფლება მიეცეს დაახრულოს ბოლომდე ის ხაქმე, რომლის წარმოებაც დაწყებული იქნება სახამართლოს დაწესებულებაში 1920 წლის იანვრის პირველამდე.

2. გაუქმდეს ტფილისის სახამართლო პალატის ოქმის ნაფიც ვექილთა ხაბჭო.

3. დაარსდეს ხაქაროველის ნაფიც ვექილთა ხაბჭო, რომლის ახარჩევად მოწვეულ იქნეს, სახამართლო დაწესებულებათა დებულების მე-358 და 359 მუხლებში განსაზღვრული წესით ხაქაროველის მოქალაქე ნაფიც ვექილთა ხაზოგადო კრება.

4. დეკრეტი ეხებ ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა "ხაქაროველის რესპუბლიკაში".-

1919 წ. ნოემბრის II.

ხაქაროველის დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის უფროსი ა მ ხ ა ნ ა ტ ი

ხაქაროველის რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მ ი ა დ გ ი ლ ი

საქართველოს ეროვნული არქივი
დედანთან სწორია
დამფუძნებელ კრების

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული **გადაწყვეტილებები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით**

ავტორი: ნანა მჭედლიძე
პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის ევროკავშირის პროექტის უფროსი ექსპერტი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ლექტორი

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ოჯახში ძალადობის თემის განვითარების ზოგიერთი ტენდენცია; კერძოდ, რა უფლებების დარღვევა შეუძლია განმცხადებელს და რა ვალდებულებების შესრულება მოეთხოვება სახელმწიფოს. გასათვალისწინებელია, რომ თემა წარმოჩენილია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე რამდენიმე გადაწყვეტილების მაგალითზე.[1]

მ. და მ. ხორვატიის წინააღმდეგ, განაცხადი no. 10161/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება

პირველი განმცხადებელი არის 2001 წელს დაბადებული გოგონა, მეორე განმცხადებელი – მისი დედა. 2007 წელს, მშობლების განქორწინების შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვი ცხოვრობს მამასთან. ბავშვი მამისგან, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდა ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას. განმცხადებლებმა იჩივლეს პოლიციაში 2011 წელს, როცა პირველი განმცხადებლის მტკიცებით, მამამ სახეში დაარტყა და ყელში ხელი წაუჭირა. ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროისთვის, ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის საქმის განხილვა ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოებდა. პარალელურად, მეორე განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, რომ დროებით ბავშვს მასთან ეცხოვრა, რაზეც უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ ბავშვს მამასთან ცხოვრებით საფრთხე არ ემუქრებოდა. გოგონას ჩამოუყალიბდა რთული ქცევა, თვიდაზიანების ჩათვლით, რადგან სურვილის წინააღმდეგ მამასთან უწევდა ცხოვრება. ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე ძირითადი პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ გოგონას დაზიანებები აღრიცხული იყო სამედიცინო წესით. ეს მტკიცებულება საკმარისი იყო სახელმწიფოს ვალდებულების ასამოქმედებლად, რომ გამოეძია სავარაუდო ძალადობა და დაეცვა გოგონა შემდგომი ძალადობისგან.

ეროვნულ დონეზე, მამას ბრალი წაეყენა ყველაზე მძიმე ინციდენტისთვის და არა ყველა იმ არასათანადო მოპყრობისთვის, რასაც ის სავარაუდოდ, ბავშვს უქვემდებარებდა. სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაგრძელდა 4 წელზე მეტ ხანს. ამ გარემოებების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ კონვენციის მე-3 მუხლში (დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ინკორპორირებული ქმედითი გამოძიების ჩატარების ვალდებულება არ შეასრულა.

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ბოლო ინციდენტის შემდეგ, სახელმწიფომ ბავშვი მამის მზრუნველობაში დატოვა და ამით დაარღვია თავისი ვალდებულება, დაეცვა იგი შემდგომი ძალადობისგან. თუმცა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, ხელისუფლებამ გადადგა გონივრული ნაბიჯები შესაძლო არასათანადო მოპყრობის რისკის შესაფასებლად. კერძოდ, ბავშვის მდგომარეობა ექვემდებარებოდა სოციალური მუშაკების მკაცრ კონტროლს; ექსპერტიზისა და სოციალური მუშაკების ერთობლივი დასკვნით, ბავშვს საფრთხე არ ემუქრებოდა. დედას მასთან ბავშვის საცხოვრებლად გადასვლაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ სისხლის სამართლის საქმე მამის წინააღმდეგ არ იყო დასრულებული და გადაწყვეტილება ემყარებოდა სოციალური სამსახურის შესაბამის რეკომენდაციას. ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე თავისი ვალდებულება, არასათანადო მოპყრობისგან დაეცვა ბავშვი. შესაბამისად, ამ ნაწილში არ დარღვეულა არც კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მეორე განმცხადებელთან მიმართებით.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსზღვრის

თაობაზე სამართალწარმოება 4 წელზე მეტხანს გრძელდებოდა, საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ სახელმწიფომ მე-8 მუხლიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებები არ შეასრულა. მითუმეტეს, სახელმწიფო უწყებებს უფრო მეტი ოპერატიულობა უნდა გამოეჩინათ, რადგან საქმე ეხებოდა ბავშვს, რომელიც მშობლების კონფლიქტური ურთიერთობის გამო ტრავმირებული იყო და რამაც თვითდაზიანებამდე მიიყვანა. ეროვნულმა სასამართლომ ერთხელაც არ მოისმინა ბავშვის აზრი, თუ ვისთან სურდა ცხოვრება, როგორც ამას, ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-12 მუხლი მოითხოვს.

ექსპერტების დასკვნით, ა) არც ერთ მშობელს არ შეეძლო სათანადო ზრუნვა გაეწია ბავშვისთვის და ბ) ბავშვს სურდა დედასთან ცხოვრება. ორივე მშობელი ცხოვრობდა ერთ ქალაქში და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მისი სკოლისა და სოციალური გარემოს შეცვლას არ გამოიწვევდა. შესაბამისად, ბავშვის სურვილის გაუთვალისწინებლობამ დაარღვია მისი უფლება პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობაზე. სამართალწარმოების გაჭიანურებამ, მეორე განმცხადებელთან მიმართებაშიც დაარღვია მე-8 მუხლი.

კომპენსაცია: 19, 500 ევრო პირველ განმცხადებელს და 2,500 ევრო მეორე განმცხადებელს მიყენებული მორალური ზიანისთვის.

ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ, განაცხადი no. 33401/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება

საქმეზე, განმცხადებელი და მისი დედა წლების განმავლობაში, განმცხადებლის ქმრის მხრიდან ძალადობას ექვემდებარებოდნენ; ზოგიერთი დაზიანებება სიცოცხლისთვის საშიშად იყო შეფასებული. სისხლის სამართალწარმოება დაიწყო რამდენჯერმე, მაგრამ ქალების მიერ საჩივრების გატანის გამო შეწყდა. თუმცა რამდენიმე ეპიზოდის სიმძიმის გამო, საქმემ სასამართლო განხილვის სტადიამდე მიაღწია. მანქანით გატანისთვის ქმარს დაეკისრა სამი თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც შეეცვალა ჯარიმით და ცივი იარაღით მიყენებული 7 ჭრილობისთვის დაეკისრა ჯარიმა. როდესაც დედა ეცადა, ქალიშვილს სახლიდან გაქცევაში დახმარებოდა, განმცხადებლის ქმარმა იგი მოკლა, რათა თავისი ღირსება დაეცვა. მას მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა, თუმცა სააპელაციო სამართალწარმოების დროს გათავისუფლდა, რის შემდეგაც განმცხადებლის მიმართ მუქარა გაგრძელა. განმცხადებლის მიმართ ღონისძიებები იქნა მიღებული მხოლოდ 7 თვის შემდგომ, როდესაც ევროპულმა სასამართლომ თურქეთისგან ინფორმაცია მოითხოვა.

ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, სამართალდამცავმა ორგანოებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ თუ არა, რომ დანაშაულებრივი ქმედება რეალურ და

გადაუდებელ საფრთხეს უქადდა ინდივიდის სიცოცხლეს და მიიღეს თუ არა/ვერა შესაბამისი ზომები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლებსაც, გონივრული შეფასებით, უნდა აეცილებინა ასეთი საფრთხე. ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რისკი განჭვრეტადი იყო და ხელისუფლებამ არ მიიღო შესაბამისი ზომები, დაეცვა განმცხადებლის დედის სიცოცხლე. დადგინდა განმცხადებლის დედის მიმართ მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა მატერიალურ სამართლებრივ ნაწილში.

მკვლელობის საქმეზე სისხლის სამართალწარმოება 6 წელი გრძელდებოდა, მიუხედავად ბრალდებულის მიერ აღიარებითი ჩვენებისა. შესაბამისად, ქმედითი გამოძიების ჩატარების ვალდებულება არ შესრულებულა. ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის დედის მიმართ მე-2 მუხლის საპროცესო სამართლებრივ ნაწილში დარღვევა დაადგინა.

განმცხადებლის მიმართ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან ხელისუფლების რეაგირება არ იყო ადეკვატური მის დასაცავად. სასამართლოს მიერ დაკისრებულ მსუბუქ სანქციებს არ ჰქონდა პრევენციული და დამაშინებელი ძალა და შემწყნარებლურიც კი იყო ძალადობის სიმძიმიდან გამომდინარე. კანონმდებლობაში მოგვიანებით გათვალისწინებული დამცავი ღონისძიებები ძალადობის აღსაკვეთად ქმედითად არ გამოყენებულა.

არსებული ინფორმაციით, ხელისუფლება შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იჩენდა ოჯახში ძალადობის მიმართ, რომლის შედეგადაც დაზარალებულები, ძირითადად, ქალები იყვნენ. ოჯახში ძალადობა ოჯახის შინაურ საქმედ განიხილებოდა. მოძალადე მამაკაცების მიმართ შემამსუბუქებელი გარემოებები იყო ჩვეულება, ტრადიცია და ღირსება. ძალადობა, რომელსაც განმცხადებელი და მისი დედა დაექვემდებარნენ, იყო გენდერზე დაფუძნებული და ქალების მიმართ დისკრიმინაციული, რაც ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა სათანადოდ აღკვეთილი. შესაბამისად, დადგინდა განმცხადებლის მიმართ მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში და განმცხადებლის დედის მიმართ – მე-14 მუხლის დარღვევა, მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

კომპენსაცია: 30, 000 ევრო მიყენებული მორალური ზიანისთვის.

სასამართლოსთვის აგრეთვე პრობლემური იყო ქმედითი ზედამხედველობის არარსებობა აღნიშნულ თემზე; მზრუნველობაში გადაცემა განუსაზღვრელი ვადით და სოციალური მუშაკების ქმედება, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ბავშვების დედისგან კიდევ უფრო ჩამოშორებას და თემში ინტეგრაციას.

სკოცარი და ჯუნტა იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი no. 39221/98 და 41963/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება

პირველი განმცხადებელი, თავის ორ არასრულწლოვან შვილთან ერთად, მეუღლისგან ძალადობას ექვემდებარებოდა. მეორე განმცხადებელი პირველი განმცხადებლის დედაა და მის მიმართ უფლების დარღვევა არ დადგენილა. ოჯახში ძალადობრივი ატმოსფერო ძირითადად პირველი განმცხადებლის ქმრის ბრალი იყო, რომელიც ბავშვებს და მეუღლეს მუდმივად ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, მაგრამ სპეციალისტის დასკვნის თანახმად, პირველი განმცხადებელი, მეუღლესთან განშორების შემდეგაც, თავისი ფსიქიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ბავშვებს სათანადოდ ვერ უვლიდა. ამასთან, საქმეს ართულებდა უფროსი ვაჟის მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმაც. ის სექსუალურ ძალადობას დაექვემდებარა იმ პერიოდში, როდესაც მშობლები სახლში არ იყვნენ და ბავშვს ოჯახთან დაახლოებულ სოციალურ მუშაკთან ტოვებდნენ, რომელიც წარსულში წამალდამოკიდებული პირი იყო. პირველ განმცხადებელს შეეზღუდა მშობლის უფლებები და ორივე შვილი მზრუნველობის ორგანოს გადაეცა. პირველმა განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევაზე იდავა.

ბავშვების მზრუნველობის ორგანოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, ხელისუფლების ორგანოთა ჩარევა საკმარის და რელევანტურ გარემოებებზე იყო დამყარებული და ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლებული იყო. შესაბამისად, ამ ნაწილში კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

ევროპულმა სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა პირველი განმცხადებლისთვის შვილებთან ურთიერთობის შეზღუდვის ნაწილში. განმცხადებელს უფროს შვილთან ურთიერთობა სრულად აეკრძალა, ხოლო უმცროს შვილთან პირველ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, ეროვნულმა სასამართლომ ეს შეხვედრა გააუქმა, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ ოჯახში ძალადობის საქმეზე მამის წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას დედის ქმედებაშიც გამოევლინა დანაშაულის ნიშნები. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ შეზღუდვებს დამაჯერებელი ობიექტური საფუძველი არ ჰქონდა. ეროვნული სასამართლოს მიერ ნებადართულ ორ შეხვედრას (თავდაპირველი დაშორებიდან წლის და ნახევრის შემდეგ) არ შეეძლო დედასა და შვილებს შორის ურთიერთობა აღედგინა; მათ შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა შეიძლებოდა უფრო გაღრმავებულიყო. მართალია, ბავშვები ტრავმირებულები იყვნენ ოჯახში ძალადობრივი ატმოსფეროს შედეგად, დედასთან ურთიერთობის აკრძალვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გამართლდეს, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა ბავშვების თემში არსებული სერვისით უზრუნველყოფასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, თემის ორი ხელმძღვანელი, სადაც ბიჭები განთავსდნენ, მანამდე სექსუალური ძალადობისთვის იყვნენ მსჯავრდებულები. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დედის პრეტენზია მისი შვილების აღნიშნულ თემში განთავსებასთან დაკავშირებით გასაგები იყო. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მშობლები არ უნდა იყვნენ იძულებულნი, რომ განზე გადგნენ მაშინ, როდესაც მათ შვილებს მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულ პირებს ანდობენ. სასამართლოსთვის აგრეთვე პრობლემური იყო ქმედითი ზედამხედველობის არარსებობა აღნიშნულ თემზე; მზრუნველობაში გადაცემა განუსაზღვრელი ვადით და სოციალური მუშაკების ქმედება, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ბავშვების დედისგან კიდევ უფრო ჩამოშორებას და თემში ინტეგრაციას. შესაბამისად, დადგინდა, რომ ბავშვების უწყვეტი ვადით თემში განთავსება პირველი განმცხადებლის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს არღვევდა.

კომპენსაცია: 100, 000, 000 იტალიური ლირა პირველ განმცხადებელს და 50, 000, 000-50,000,000 იტალიური ლირა თითოეულ ბავშვს მიყენებული მორალური ზიანისთვის. სახელმწიფოს მიეთითა, აღმოეფხვრა გარემოებები, რომლებმაც განაპირობეს კონვენციის დარღვევა.

ბოლო წლებში, ოჯახში ძალადობის თემა საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია. ამ სფეროში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ვალდებულებები აკისრია, მათ შორის, სიცოცხლის უფლების, არასათანადო მოპყრობის აკრძალვის, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამიტომ, წინამდებარე რუბრიკისთვის შეირჩა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამი პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომელშიც გამოკვეთილია ოჯახში ძალადობის თემასთან

დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი ასპექტი და სახელმწიფოს შესატყვისი ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციიდან გამომდინარე.[2]

საქმეზე მ. და მ. ხორვატიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებაში განხილულია: სახელმწიფოს ვალდებულება, დროულად გამოძიებინა არასრულწლოვანის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი ოჯახში ძალადობის დანაშაული; სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ოჯახში ძალადობის შედეგად სავარაუდო დაზარალებული; ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე სამართალწარმოებაში თავად ბავშვის მოსაზრებების გათვალისწინების ვალდებულება, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ბავშვი, სავარაუდოდ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლია; დაბოლოს, იმ მშობლის უფლებები, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი შვილი მეორე მშობლისგან ძალადობას დაექვემდებარა.

საქმეზე ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებაში განხილულია: ოჯახში ძალადობის რისკის სახელმწიფოს მიერ წინასწარგანჭვრეტადობა; დაზარალებულთა დასაცავად მიღებული ზომების ადეკვატურობა და შესაბამისად, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლის (არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) დარღვევა; ხელისუფლების შემწყნარებლური დამოკიდებულება ოჯახში ქალებზე ძალადობის მიმართ, რამაც გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაციული მოპყრობა შეადგინა.

საქმეზე სკოცარი და ჯუნტა იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაში განხილულია: ოჯახში ძალადობის და სქესობრივი ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვების მშობლებისგან ჩამოშორება; დედისთვის ბავშვებთან ურთიერთობის აკრძალვა და წარსულში პედოფილისთვის მსჯავრდებული პირების მზრუნველობაში ბავშვების გადაცემა.

1 შენიშვნა: ამჟამად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაშია საქმე – თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tkhelidze v. Georgia). განაცხადი no. 33056/17. განაცხადი ეხება განმცხადებლის ქალიშვილის მკვლელობას მისი მეუღლის მიერ. განმცხადებლის მტკიცებით, ხელისუფლებამ ვერ დაიცვა სიცოცხლე. მხარეებთან გაგზავნილ კომუნიკაციაში შეკითხვები დასმულია კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) ჭრილში.

2 გადაწყვეტილებების სრულად ნახვა შესაძლებელია მისამართზე: https://hudoc.echr.coe.int.

ინტერვიუ

ინტერვიუ რაჟდენ კუპრაშვილთან

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

ბატონო რაჟდენ, ინტერვიუ დავიწყოთ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატისა და ხელმისაწვდომობის საკითხებზე საუბრით.

როგორც მოგეხსენებათ, იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრებისათვის – სოციალურად დაუცველი პირებისათვის, არასრულწლოვნებისათვის, ოჯახში ძალადობის მსხვერლთათვის, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და კანონით გათვალიწინებული სხვა პირებისათვის სახელმწიფოს ხარჯზე, სამართლებრივი მომსახურეობის – იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების გაწევას.

სამართლებრივ დახმარებაზე წვდომის გარეშე, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფები აღმოჩნდებიან მათი უფლებების დაცვისა და რეალიზაციის რეალური საფრთხის წინაშე, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ამ პირების ჩამოცილებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისაგან.

მოგახსენებთ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის დღიდან პერიოდულად ხდება სამსახურის მანდატის გაფართოვება.

„ბავშვთა კოდექსის“ მიღების შემდეგ, კვლავ იგეგმება იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა. კერძოდ, არსებული კანონპროექტის თანახმად, საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით ისარგებლებს ყველა სტატუსის არასრულწლოვანი, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, თუ მათ არ ეყოლებათ კერძო ადვოკატი.

არსებობს, ასევე სხვა მიმართულებითაც სამსახურის მანდატის გაფართოვების საჭიროება. ერთ-ერთ ასეთ სფეროს წარმოადგენს თავშესაფარის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოში იურიდიული დახმარების სამსახურის ჩართულობის საჭიროება და ა.შ.

რაც შეეხება იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობას, მოგახსენებთ, რომ სამსახური თავის ბენეფიციარებს სამართლებრივ მომსახურეობას უწევს სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით.

მიმდინარე წლის აპრილის თვემდე, საქართველოს მასშტაბით სამსახურის შემადგენლობაში შედიოდა 12 ბიურო და 7 საკონსულტაციო ცენტრი.

იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდის და ბენეფიციარებისათვის დროული სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის, მიმდინარე წლის აპრილის თვეში, იურიდიული დახმარების სამსახურს დაემატა 9 საკონსულტაციო ცენტრი – პანკისში, ცაგერში, ყაზბეგში, დმანისში, მარტვილში, შუახევში, ხაშურში, ბორჯომში და წალენჯიხაში და 2 ბიურო – გურჯაანსა და ოზურგეთში.

როგორც ხედავთ, საკონსულტაციო ცენტრების დამატება უმეტესწილად განხორციელდა იმ ადგილებში, რომლებიც მოშორებულია ძირითადი ადმინისტრაციული ცენტრებისაგან. მსგავს ადგილებში საკონსულტაციო ცენტრების არარსებობა აბრკოლებდა სამსახურის ბენეფიციარებს მიეღოთ დროული სამართლებრივი დახმარება და გარკვეულ შემთხვევებში, დიდ მანძილზე გადაადგილების საჭიროებიდან გამომდინარე, საერთოდ გამორიცხავდა კიდეც იქ მცხოვრები პირებისათვის სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობას.

იურიდიული დახმარების სამსახური ასევე აქტიურად მუშაობს საზღვრისპირა, მაღალმთიან და ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში ონლაინ კონსულტაციების განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის დანერგვაზე, რაც ბენეფიციარებისათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის სამართლებრივ დახმარებას.

რას გვეტყოდით სამართლებრივი სერვისების ხარისხისა და საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით გატარებულ ღონისძიებებზე?

მოგეხსენებათ, რომ სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ მომსახურეობის ხარისხი, რომელსაც სამსახური უწევს თავის ბენეფიციარებს.

სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის, სამსახური მიმდინარე წელს მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასების სისტემის ამოქმედებას.

ამჟამად, ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ხარისხის შეფასების კრიტერიუმების შექმნასთან დაკავშირებით. სამსახური მიზნად ისახავს შეიმუშაოს ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმი, რომელიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს ბენეფიციარების მიერ ეფექტური სამართლებრივი მომსახურეობის მიღებას და მეორეს მხრივ, დაიცავს ადვოკატის დამოუკიდებლობას.

სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივ ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სამსახური მუდმივად ახორციელებს საზოგადოებრივი ადვოკატების გადამზადებას, რა დროსაც ადვოკატები ეცნობიან ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთა, მსხვერპლთა დაცვა და დახმარება იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს, ძალადობის როგორი ფორმები არსებობს და როგორ ეხმარება იურიდიული დახმარების ბიურო მსხვერპლს?

მოგეხსენებათ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, ევროპაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ამ მხრივ, სამწუხაროდ, არც საქართველოა გამონაკლისი.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ხშირად არიან არა მხოლოდ ის პირები, რომლებიც უშუალოდ განიცდიან ძალადობას, არამედ არასრულწლოვნები, რომლებიც ხდებიან ოჯახში ძალადობის მოწმეები. შესაბამისად, ამ პირთა დაცვა პრიორიტეტულია არა მხოლოდ მსხვერპლთა უფლებების დაცვის, არამედ მომავალი თაობების დაცვისა და მათი სრულფასოვანი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისათვის.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთა და პრევენცია ხშირად არ არის მარტივი, ვინაიდან სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის შიშის, მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულების და ა.შ. მიზეზით, მსხვერპლისათვის/სავარუდო მსხვერპლისათვის არ არის მარტივი მიმართოს შესაბამის ორგანოებს. გარდა ამისა, ხშირად, სხვადასხვა სტერეოტიპებიდან გამომდინარე, მსხვერპლი ძალადობას აღიქვამს, როგორც ცხოვრებისეულ გარდაუვალ ფაქტს და თავს იკავებს მისი შეტყობინებისაგან.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით -ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სქესობრივი ძალადობა, იძულებითი ქორწინება და ა.შ.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს პარლამენტმა 2017 წელს მოახდინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) რატიფიცირება, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებით, სახელმწიფომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტს.

კონვენცია და საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ იცავს ძალადობის მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს და სთავაზობს მას სერვისებს იმისათვის, რათა პირი იყოს დაცული ძალადობისგან და იცხოვროს ღირსეულ, ძალადობისგან თავისუფალ გარემოში. აღნიშნულ სერვისებს შორისაა, სახელმწიფოს ხარჯზე, იურიდიული კონსულტაციით და იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლებაც.

იურიდიული დახმარების სამსახურს მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთათვის სამართლებრივი დახმარების გაწევა დაევალა 2015 წლიდან.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა მოითხოვს საზოგადოებრივი ადვოკატების მხრიდან, არა მხოლოდ სამართლებრივი ბაზის, არამედ სპეციფიკური უნარების ცოდნასაც. ამ მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის 39 ადვოკატს გავლილი აქვს სპეციალური კურსი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

იურიდიული დახმარების სამსახური, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს სთავაზობს როგორც პირად, ასევე, სატელეფონო/ონლაინ სამართლებრივი კონსულტაციას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დამცავი ორდერის გამოცემის საკითხს განიხილავს სასამართლო, იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს ამ პირებს ადვოკატის წარმომადგენლობით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად.

ხოლო, შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი უზრუნველყოფილია ადვოკატის წარმომადგენლობით თუ იგი გადახდისუუნაროა.

ამასთან, იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება აქვს არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, არამედ პირს, რომელიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან, მიუხედავად მისი გადახდისუნარიანობისა, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი.

სტატისტიკაზე რას იტყვით?

2015–2019 (I კვარტალი) წლებში იურიდიული დახმარების სამსახურმა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა წარმომადგენლობა განახორციელა 84 ადმინისტრაციულ საქმეზე (შემაკავებელი/დამცავი ორდერი), აქედან არასრულწლოვნის მიმართ – 43 საქმეზე.

იურიდიული დახმარების სამსახურმა სისხლის სამართალწარმოებისას დაიცვა – 744 არასრულწლოვანი დაზარალებული. ხოლო ამ საკითხზე იურიდიული კონსულტაცია გაეწია 615 პირს.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, მათ შორის არასრულწლოვნებთან, ქალადობის ფაქტებზე დროული და ეფექტური რეაგირება საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

რა სანქციებს ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა?

მოქმედი კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის გამოვლენის და აღკვეთის მიზნით ითვალისწინებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს.

ოჯახური დანაშაულის ჩადენისას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებს შორისაა თავისუფლების აღკვეთა, ასევე, ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.

სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გულისხმობს მსხვერპლის უფლებას მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები ითვალისწინებს მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვას ან აკრძალვას, რაც ხორციელდება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემით.

თანამშრომლობს თუ არა თქვენი სამსახური არასამთავრობო ორგანიზაციებთან და შენაგან საქმეთა სამინისტროსთან, ოჯახში ძალადობის პრევენციის კუთხით?

იურიდიული დახმარების სამსახური, მემორანდუმის საფუძველზე „ადამიანით ვაჭრობის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების“ სახელმწიფო ფონდთან აქტიურად თანამშრომლობს. აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტთან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ურთიერთთანამშრომლობა მიზნად ისახავს თემატური საინფორმაციო შეხვედრების გამართვას მოსახლეობასთან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მსხვერპლთათვის დროულ და ეფექტიან სამართლებრივი დახმარების გაწევას.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეებასთან, მათ შორის არასრულწლოვნებთან, ძალადობის ფაქტებზე დროული და ეფექტური რეაგირება საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

ჭარბვალიანობა, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი და საჭირო სამართლებრივი რეგულაციები



ავტორი: თეა ხამხაძე
ადვოკატთა ასოციაციის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე

ახალს და უცხოს ვერაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ საქართველოში ჭარბავლიანობის დიდი პრობლემაა, ამაზე საუბრობს სასამართლოც, ბიზნესიც, ხელისუფლებაც და საზოგადოებაც.

როგორც აღმოჩნდა საქართველოს 600 ათასზე მეტ მოქალაქეს გააჩნდა ვადამოსული დავალიანება საკრედიტო ორგანიცაზიებთან, რის გამოც ისინი მოხვდნენ ე.წ. „შავ სიაში“ და – ფაქტიურად გამოეთიშნენ ნორმალურ სამოქალაქო ბრუნვას. იმ ფონზე, რომ არ გაქვს კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკურ პირთა გაკოტრებულად ცნობის შესაძლებლობას და მოქალაქეებს მისცემს შანსს სუფთა ფურცლიდან დაიწყონ ცხოვრება, დიდი რაოდენობის მოქალაქეების მოვალეთა რეესტრში ყოფნა მძიმე ტვირთად იქცა ქვეყნის სოციალური განვითარებისთვის.

ამ თემაზე საუბრისას ხშირად მახსენდება ამერიკული კომედია, ჯიმ ქერის მონაწილეობით – „ყოველთვის თქვი დიახ“. ფილმის მთავარი გმირი ბანკის თანამშრომელია და ერთ დღეს პირობას დებს, რომ ყველა თხოვნას დათანხმდება. ამ პირობის წყალობით კი ბანკის კლიენტებზე გასცემს ისეთ სესხებს, რომლებიც მოქალაქეებს სჭირდებათ მთის ველოსიპედის შესაძენად, სერფინგის გაკვეთილების დასაფინანსებლად, მოტოციკლის საყიდლად და ელემენტარული ოცნებების ასასრულებლად. შედეგად კი ხდება ის, რომ სურვილების ასრულებით გაბედნიერებული ადამიანების 98 პროცენტი დიდი წარმატებით უკან აბრუნებს სესხს. ჩვენთან ბანკების მხრიდან ოცნებების ასრულების მეთოდმა რატომღაც არ გაამართლა, ჩვენც ვყიდულობდით სასურველ ტელეფონებს, კომპიუტერებს, ავტომანქანებს, მაგრამ კრედიტის უკან დაბრუნებას ისევე ხალისიანად ვერ ვახერხებდით, როგორც ნახსენებ ფილმში მოხდა. ნეტავ რატომ? იქნებ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გვაქვს ნაკლები? იქნებ იმიტომ, რომ საკმარისი იყო მხოლოდ ოცნების ასრულება და მასში ფულის გადახდა აღარ მოგვინდა? ან იქნებ იმიტომ, რომ ამ ოცნებების ასრულებისთვის ბანკები ძალიან დიდ პროცენტს გვთხოვდნენ და დაგვიანების შემთხვევაში ძალიან გვსჯიდნენ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს მოთხოვნით? ან იქნებ იმიტომ, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მგდომარეობა იმდენად რთულია, რომ არ გვქონდა უფლება კრედიტების წყალობით აგვესრულებინა ოცნებები? შეიძლება ამის მიზეზი ისიც არის, რომ დავივიწყეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის უმთავრესი პრინციპი – კეთილსინდისიერება და საკრედიტო დაწესებულებები თუ კერძო პირები სესხებს იმდენად არასამართლიანი პირობებით გასცემდნენ, რომ ამ ხელშეკრულებების შესრულება ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ალბათ ყველა კითხვაზე პასუხი არის „დიახ“. ამ ყველაფერმა მიგვიყვანა იმ პრობლემამდე, რომელსაც ჭარბვალიანობა დავარქვით და ჩვენმა ხელისუფლებამაც გადაწყვიტა, რომ ჩვენ, ხალხი, ცალკეული ინდივიდები, თავად ვერ განვსაზღვრავთ რა თანხა შეგვიძლია ვისესხოთ, ისე, რომ ვალის უკან დაბრუნება შევძლოთ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმაც არ დააყოვნა და გადაწყვიტა საბანკო სექტორისთვის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დაედგინა წესები, ვის რამდენი სესხი შეიძლება მისცენ, რა პირობებში და ამას პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო უწოდა. პარლამენტმა კი, მთავრობის ინიციატივით, შემოიღო რეგულაციები და სამოქალაქო კოდექსში შეიტანა ცვლილებები. არ დაგვიმსახურებია? მგონია, რომ სწორედ ეს დავიმსახურეთ – სახელმწიფომ დაგვიდგინოს როგორი პასუხისმგებლიანები უნდა ვიყოთ. განისაზღვრა, რომ საკრედიტო ორგანიზაციებმა სესხები მხოლოდ შემოსავლების დეტალური დადასტურების შემთხვევაში უნდა გასცენ, ეს ეხება თვითდასაქმებულებსაც და იმ ადამიანებსაც, რომლებიც საკუთარი შრომის საფასურს საბანკო დაწესებულებების გარეშე იღებენ და შემოსავლის ფაქტის დადასტურება ძალიან ურთულდებათ მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამ დრომდე კრედიტებს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ და კეთილსინდისიერად იხდიდნენ. სესხის გაცემისას წინასწარ დაწესებული ლიმიტიც მკაცრად უნდა იყოს დაცული, განისაზღვრა შემოსავლის შესაბამისად გასაცემი სესხის ოდენობა. ეს რეგულაციები შეეხო პასუხისმგებლიან მოქალაქეებსაც და უპასუხისმგებ-

საცალო გაყიდვის მაღაზიებმა უკვე გამონახეს გზები, როგორღაც გვერდი აუარონ ამ რეგულაციებს და მაგალითად, საოჯახო ტექნიკას გასცემენ ლიზინგით, ამასვე ეცდებიან რიგითი მოქალაქეებიც, რაც მევახშეობის გააქტიურების დიდ საფრთხეს ქმნის.

ლობსაც, თუმცა რომელი სჭარბობს არავის გაურკვევია, ასევე არ გარკვეულა ძირითადად რამ გამოიწვია ამდენი დაუბრუნებელი სესხის არსებობა. ალბათ იმან, რომ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა მძიმეა, არ არის საკმარისი სამუშაო ადგილები, ქვეყანაც სწრაფი ტემპით არ ვითარდება, ამასთან ერთად კი საკრედიტო დაწესებულებებმა და კერძო პირებმა საკრედიტო დანაკარგების კომპენსირება მაღლი საპროცენტო განაკვეთების დადგენით მოინდომეს.

ჭარბვალიანობის პრობლემის წარმოქმნაში ასევე დიდი როლი ითამაშა ე.წ. ონლაინ სესხების სერვისმა, რის საფასაურადაც მოვალე პირებს სესხად მიღებული თანხის 100 და 200 პროცენტით გადახდა უწევდათ.

ახლადდაწესებული რეგულაციებით სახელმწიფომ გადაწყვიტა მეტ-ნაკლებად მოეგვარებინა ჭარბვალიანობის პრობლემა და სამოქალაქო კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები დოლარიზაციის მაჩვენებლის შესამცირებლად იმ მიზნით, რომ მოქალაქეები და იურიდიული პირები დაცულნი იყვნენ სავალუტი რისკებისგან და დაწესდა, რომ 200 000 ლარამდე სესხი, ნასყიდობის და ლიზინგის საზღაური არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით მიბმული ან ინდექსირებული უცხოურ ვალუტაზე (სსკ 505.2-ე, 576.5-ე, 626.7-ე, 868.8-ე მუხლები), კანონმა ასევე თქვა, რომ სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს (სსკ 625-ე მუხლი), ასევე დაადგინა რამდენი შეიძლება იყოს იპოთეკური სესხის მაქსიმალური პროცენტი. თქვა, რომ უძრავ ქონებას იპოთეკით ვერ დავტვირთავთ იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც არ ექვემდებარება ეროვნული ბანკის კონტროლს და ა.შ., თუმცა უამრავი საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად სახელმწიფომ არ თქვა ერთი მარტივი რამ – მევახშეობა კანონსაწინააღმდეგოა და ასეთი გარიგება ბათილია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პრაქტიკა ევროპულ ქვეყნებს გააჩნიათ. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე პარაგრაფის მიხედვით მევახშეობა ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და რა თქმა უნდა მევახშეობაში იგულისხმება სესხის ხელშეკრულების დადება მაღალი საპროცენტო განაკვეთით და კაბალური პირობებით, ჩვენი კანონმდებლები კი შეეცადნენ პროცენტის მაქსიმალური ოდენობის დადგენით

მხარეთა უფლება თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. მხარეები უნდა იქცეოდნენ კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანად.

მოეხდინათ არასამართლიანი ხელშეკრულებების დადების პრევენცია, ასევე დააწესეს პირგასამტეხლოს ზღვრული ოდენობა, რაც არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ პირგასამტეხლოს საკითხს სასამართლო ბევრად უკეთესად არეგულირებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენებით და ამ საკითხზე არსებობდა წლების განმავლობაში დადგენილი სასამართლო პრაქტიკა, რომლის გათვალისწინებითაც კრედიტორები ხშირ შემთხვევაში თავადვე ამცირებდნენ დარიცხულ პირგასამტეხლოს და ნარჩენი თანხის 1,5-მაგი ოდენობაზე მეტის მოთხოვნის მაგალითებს ცოტას თუ ვიპოვით.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირებაც, რომ სასამართლო ასევე შეეხო მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტის საკითხსაც და მაგალითად ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (საქმე №ას-663-629-2015) აღნიშნა, რომ მხარეთა უფლება თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. მხარეები უნდა იქცეოდნენ კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანად. სწორედ ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ სესხზე თვეში 6% სარგებლის დარიცხვა მიიჩნია არასამართლიანად, საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი ღირებულებების საწინააღმდეგოდ და თქვა, რომ ასეთი გარიგება ბათილია (სსკ 54-ე მუხლი). ამ შემთხვევაში სასამართლო დაეთანხმა მხარეს და სესხის წლიური სარგებელი შეამცირა 48 პროცენტამდე, იქნებ სასამართლოს უფრო ნაკლებ პროცენტიც განესაზღვრა, მაგრამ ამ შემთხვევაში ის შეზღუდული იყო მხარის მოთხოვნით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დღეს მოქმედი 625-ე მუხლით კი წლიური ეფექტური განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა 50 პროცენტია.

კანონდებლობით დაწესებულ რეგულაციებს რა გავლენა ექნებათ ჭარბვალიანობის შესამცირებლად, ალბათ ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ დღეს სახეზე გვაქვს მდგომარეობა, როდესაც ბიზნესი ჩივის, რომ საცალო გაყიდვები შემცირდა, რაც, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ახლო მომავალში პროპორციულად აისახება სამუშაო ადგილებზეც, მაღაზიები შეამცირებენ მომსახურე პერსონალს, ბანკები საკრედიტო ოფიცრებს და ა.შ. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს

თუ მე ვერ დავადასტურე ჩემი სტაბილური შემოსავლის არსებობა, განვადების საშუალებით ვერ გამოვცვლი გაფუჭებულ მაცივარს, შესაბამისად არ მექნება ახალი მაცივარი, მაღაზიას კი დარჩება გაუყიდავი საქონელი, რაც ასევე პრობლემა გახდება კერძო ბიზნესის განვითარებისთვის. ფაქტია, რომ საცალო გაყიდვის მაღაზიებმა უკვე გამონახეს გზები, როგორღაც გვერდი აუარონ ამ რეგულაციებს და მაგალითად, საოჯახო ტექნიკას გასცემენ ლიზინგით, ამასვე ეცდებიან რიგითი მოქალაქეებიც, რაც მევახშეობის გააქტიურების დიდ საფრთხეს ქმნის. მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს უკვე არსებული რეგულაციების დაპირისპირება ჭარბვალიანობის პრობლემასთან, კანონმდებლობა საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს ზღვრული ოდენობის დაწესების გამო ნამდვილად მოაქცევს ჩარჩოებში საკრედიტო დაწესებულებებს, უფრო მეტად კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და კერძო გამსესხებლებს, მაგრამ ამავდროულად მოქალაქეები დგებიან საჭირო კრედიტების მიუღებლობის საფრთხის წინაშე, რაც დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სასიხარულო ფაქტი ნამდვილად ვერ იქნება.

როგორც აღინიშნა ეს რეგულაციები შეეხო ყველას, მასაც, ვისაც ცუდი საკრედიტო ისტორია ჰქონდა და იმასაც, ვინც თავადაც კარგად განსაზღვრავდა სჭირდებოდა თუ არა კრედიტი და შეეძლო თუ არა მისი გადახდა. არ ვიცი რამდენად გამართლებულია სახელმწიფოს ასეთი სახის ჩარევა კერძო ურთიერთობებში, თუმცა ჩემი პირადი აზრით ჭარბვალიანობის პრობლემის მოგვარებისათვის უფრო უპრიანი იქნებოდა რეგულაციები დაწესებულიყო მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებიც საკრედიტო ურთიერთობებში წარმოადგენენ ე.წ. ძლიერ მხარეს და შეუძლიათ ბოროტად ისარგებლონ საკუთარი ძალაუფლებით და ეს რეგულაციები ნაკლებად შეხებოდათ კრედიტის საჭიროების მქონე მოსახლეობას, რაც, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობდა, როგორც მცირე ბიზნესის განვითარებას, ასევე მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

უძრავ ნივთზე რეგისტრირებული მესაკუთრის და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა დაბალანსების პრობლემატიკა და მისი გადაჭრის შესაძლო გზები

ავტორი: თამარ ხაჟომია
თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

სტაბილური, მარტივი და იაფი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფის საჯარო ინტერესი მჭიდროდაა დაკავშირებული უძრავი ქონების ბაზრის მონაწილე კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთან, ენდობოდეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს ყოველგვარი დამატებითი გადამოწმების და ძალისხმევის დახარჯვის გარეშე. მეორეს მხრივ, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების კონსტიტუციური უფლების დაცულობას ეჭვქვეშ აყენებს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული არაერთი მაგალითი, როდესაც კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტით უძრავ ნივთზე უფლება დაკარგეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულმა მესაკუთრეებმა და მათი უფლების აღდგენა რიგ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების გზითაც კი პრაქტიკულად ვერ განხორციელდა. რეგისტრირებული მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა დაბალანსების პრობლემატიკა იქცა ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგნად. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების[1] ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ამ დილემის გადაჭრა უფრო კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის დამცავი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფით სამართლებრივი რეგულირების ხარვეზი ვერ აღმოიფხვრება. სახელმწიფომ უნდა შექმნას დამატებით გარკვეული მექანიზმები როგორც მესაკუთრის არასწორად რეგისტრაციის ფაქტების გამოსარიცხად, ისე – ქონებასთან დაკავშირებული დავის თაობაზე შემძენის წინასწარ ინფორმირების მიზნით.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული რედაქციით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი[2] არ შეიცავდა დათქმას რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილ საჩივართან და შემძენის მიერ ამ ფაქტის ცოდნასთან დაკავშირებით, თუმცა, 312-ე მუხლი კეთილსინდისიერების გამომრიცხავ ერთ-ერთ წინაპირობად მოიხსენიებს რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ საჩივრის შეტანის ფაქტს. ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები სასამართლო გადაწყვეტილებებში უმეტესწილად გამოიყენება ერთმანეთთან კომბინაციაში, რადგან კეთილსინდისიერი შემძენის დაცვა გამომდინარეობს სწორედ საჯარო რეესტრის უტყუარობის და სისრულის პრეზუმფციიდან.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 185-ე მუხლის შემძენის კეთილსინდისიერების დამდგენი ის ნორმატიული შინაარსი, როდესაც შემძენმა იცის ჩანაწერის შესახებ საჩივრის შეტანის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების პრაქტიკაში მოიძებნება გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვითაც, შემძენი ითვლება კეთილსინდისიერად მაშინაც კი, თუ რეესტრის მიმართ შეტანილია საჩივარი, თუმცა ამის შესახებ შემძენი არ არის ინფორმირებული.[3] სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა 312-ე მუხლში მოცემული წინაპირობის საერთო სასამართლოების მიერ არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობა და 185-ე მუხლის დისპოზიციაში გამონაკლისის დადგენით აღმოფხვრა ეს საფრთხე.

აქტუალური საკითხები ქართულ სამართალში

უნდა ჰქონდეს დავის დაწყების შესახებ ინფორმაცია ქონების პოტენციურ შემძენს და რამდენად მიუწვდება მას ხელი დავის დეტალების გადამოწმებაზე, რათა აწონ-დაწონოს დავის შესაძლო პერსპექტივა და მიიღოს რისკის შემცველი გადაწყვეტილება სადავოდ ქცეული ქონების შეძენის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ შესაძლებლობად განიხილავს თავდაპირველი მესაკუთრის მიერ საჯარო რეესტრისათვის დავის დაწყების თაობაზე შეტყობინების შესაძლებლობას. ამავდროულად, სასამართლო საუბრობს სახელმწიფოს შესაძლებლობაზე, დაადგინოს სარეგისტრაციო ჩანაწერში საჩივრის თაობაზე ინფორმაციის ასახვის რეგულირება, რამაც, შესაძლოა, დაიცვას თავდაპირველი მესაკუთრე, რომელიც ცდილობს დარღვეული უფლების აღდგენას.

ამ მიმართულებით მიზანშეწონილია, გერმანული რეგულირების (გერმანიის საადგილმამულო რეესტრის შესახებ კანონი GBO §53, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §899) მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობაში აისახოს რეგისტრირებული მონაცემის მიმართ წარდგენილი საჩივრის რეგისტრაციის შესაძლებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბდა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 892-ე პარაგრაფის მსგავსი შინაარსისაა. ამდენად, ნორმის განმარტებისთვის საინტერესოა, რა იგულისხმება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლში მითითებულ საჩივარში. საჩივრის რეგისტრაცია ხორციელდება საადგილმამულო რეესტრში. რეგისტრაცია საჯაროა.[4] შესაბამისად, თუკი შეძენის მომენტში საჩივარი რეგისტრირებულია, დამატებითი მსჯელობა არ არის საჭირო, იცის თუ არა საჩივრის რეგისტრაციის შესახებ შემძენმა და სადავო ქონების შეძენის რისკი მასზე გადადის.[5]

საჩივრის რეგისტრაციის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკუთრების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ საჩივრდება და მასზე დავის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული

აქტუალური საკითხები ქართულ სამართალში

სარჩელით სასამართლოში ან სამოქალაქო სარჩელით – კერძო-სამართლებრივი დავის დაწყების გზით. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეუძლია უძრავ ნივთზე პრეტენზიის წარმდგენ მოსარჩელეს, ეს არის სარჩელის უზრუნველყოფა, რომელსაც იგი მოითხოვს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში – უძრავ ნივთზე ყადაღის დადების/გასხვისების აკრძალვის ან „საჯარო რეესტრის შესახებ" კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე სადავო სარეგისტრაციო ჩანაწერის მოქმედების შეჩერების სახით. თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფა გამოიყენება მხოლოდ სათანადო წინაპირობების არსებობისას. შეიძლება, სასამართლომ არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა და დავის არსებობის შესახებ ქონების შემძენის ინფორმირება ვერ მოხდება სარეგისტრაციო ჩანაწერის გაცნობის გზით. თუკი საჩივრის რეგისტრაციის განაწესს დაადგენს კანონი, ასეთ შემთხვევაში საჩივრის დარეგისტრირებაზე შესაძლოა, დაწესდეს სასამართლო კონტროლი. კერძოდ, თუკი მესაკუთრე არ იქნება თანახმა, სარჩელის უზრუნველყოფის სახით შესაძლებელია, სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს საჩივრის რეგისტრაციის საკითხი. ეს კი ამჟამად პრაქტიკაში არცთუ იშვიათად გამოყენებული ყადაღის/გასხვისების აკრძალვის ან სარეგისტრაციო ჩანაწერის მოქმედების შეჩერებისგან განსხვავებით, არ დააბრკოლებს ქონების გასხვისებას სასამართლო დავის დასრულებამდე და უსაფუძვლო სარჩელის შემთხვევაში ნაკლებ ზიანს მიაყენებს თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის ინტერესს. ტრანზაქციები თავისუფლად განხორციელდება, თუმცა, შემძენისთვის ცნობილი იქნება დავის არსებობის თაობაზე და თავად შეაფასებს მოსალოდნელ რისკებს.

გასათვალისწინებელია, რომ საჩივრის სავალდებულო რეგისტრაციის შემთხვევაშიც კი, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სასამართლო დავის დეტალები ვერ გახდება ხელმისაწვდომი ბრუნვის ნებისმიერი მონაწილისთვის. სასამართლო დავის მთელი მიმდინარეობა ვერ აისახება დოკუმენტურად საჯარო რეესტრის ბაზაში. სასამართლო განხილვის საჯაროობა არ მოიცავს წერილობითი დოკუმენტების ნებისმიერი პირისთვის გაცნობის შესაძლებლობას. უძრავ ნივთზე საკუთრებასთან დაკავშირებული დავის პერსპექტივის ანალიზი კი მხოლოდდამხოლოდ წერილობითი მასალების საფუძველზე ხდება შესაძლებელი. გასათვალისწინებელია საქმეში მესამე პირად ჩართვის საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობებიც. როგორც სამოქალაქო, ისე – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირად ჩართვის და ამით – საქმის დეტალებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა აქვს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება,

როდესაც საკითხი შეეხება იდენტიფიცირებული უძრავი ქონების ყველა დანაწესის დაცვით რეგისტრირებული მესაკუთრის უფლების ხელყოფას, მისი გამართლება სტაბილური, მარტივი და იაფი ბრუნვის ინტერესის უზრუნველყოფით არ ნიშნავს პრობლემის ამომწურავ მოწესრიგებას.

შეეხოს სასამართლო გადაწყვეტილება. საკამათოა, რამდენად წარმოადგენს ასეთ წინაპირობას ქონების შეძენით საკარაუდო დაინტერესება. ასეთი საფუძველი შეიძლება, უძრავი ქონების ბაზარზე უამრავ პირს გააჩნდეს. თუკი სასამართლო დავებში მათი ჩართვა არ იქნება დაშვებული, ამით შემძენზე გადავა რისკი ისე, რომ მისი ობიექტური შეფასების შესაძლებლობაც კი არ ექნება, რადგან დაშვება დავის დეტალებზე ექნება მაქსიმუმ მხოლოდ იმ მოცულობით, რასაც თავად გამსხვისებელი გაუმჟღავნებს.

ამჟამად მოქმედი რეგულირებით, თუკი პოტენციურ შემძენს დადასტურებადი ფორმით არავინ შეატყობინებს საკუთრების შესახებ ჩანაწერის სადავოობის შესახებ, ბრუნვის თავისუფლება მეტ-ნაკლებად დაცულია, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი სარჩელის უზრუნველყოფაა გამოყენებული, დავის მოპასუხის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი სასამართლო დავის დასრულებამდე ბლოკირებულია ქონების გასხვისების შესაძლებლობა. მართალია, თუკი სახელმწიფო აამოქმედებს საჩივრის სავალდებულო რეგისტრაციის რეგულაციას, მთელი რისკი ამით მყიდველზე გადადის და შესაძლებელი ხდება უძრავი ქონების ბრუნვაუნარიანობის დაბრკოლება თუნდაც სრულიად უსაფუძვლო სარჩელის აღძვრით, მაგრამ ამით მცირდება ქონების გასხვისების აკრძალვის სახით სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აღბათობა და უზრუნველყოფის სახით შესაძლებელი იქნება საჩივრის დარეგისტრირება. სრულიად უსაფუძვლო სარჩელის არსებობისას კი, ქონების შეძენის რისკის გაწევა უძრავი ქონების ბაზრის მონაწილისთვის შესაძლოა, სრულიად მისაღები იყოს. სწორედ უსაფუძვლო სარჩელებით ხელოვნური ბარიერების შექმნის წახალისების საფრთხეზე არის

უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის"[6] ამოქმედების შემდგომ და კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ საკითხის მოწესრიგების გამართლება შეიძლება იმით, რომ თავად რეგისტრირებულ მესაკუთრეს დაეკისროს რისკი, რომელმაც არ მიიღო ზომები საკუთრების ობიექტის საკმარისი იდენტიფიცირებისა და დაცვის მიზნით. თუმცა, ამ მიმართულებითაც გარკვეული ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა ინფორმირების მიზნით, რომ დაუზუსტებელი რეგისტრაცია საკმარისად ვერ იცავს საკუთრების უფლებას სხვა პირთა მხრიდან დაუშვებელი ხელყოფისგან.

ამის საპირისპიროდ, როდესაც საკითხი შეეხება იდენტიფიცირებული უძრავი ქონების ყველა დანაწესის დაცვით რეგისტრირებული მესაკუთრის უფლების ხელყოფას, მისი გამართლება სტაბილური, მარტივი და იაფი ბრუნვის ინტერესის უზრუნველყოფით არ ნიშნავს პრობლემის ამომწურავ მოწესრიგებას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით ფაქტობრივად საკანონმდებლო დონეზე აისახა საერთო სასამართლოების პრაქტიკაში 185-ე და 312-ე მუხლის კომბინირებული გამოყენებისას უკვე არსებული განმარტება[7] და მხოლოდდამხოლოდ აღმოიფხვრა არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობა. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის დისპოზიციის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტის (რეესტრის წინააღმდეგ არსებული საჩივრის არსებობა) ინტეგრირება მოხდა 185-ე მუხლში, რაც ისედაც გამოიყენებოდა 185-ე მუხლთან ერთად კომბინაციაში. ამასთან, პრაქტიკულად 312-ე მუხლის შინაარსიც დაკონკრეტდა იმგვარად, რომ დაემატა შემძენის მიერ საჩივრის არსებობის ცოდნის სავალდებულო ელემენტი. ეს კი, პირიქით, უფრო განამტკიცებს შემძენის ინტერესს და გამორიცხავს საერთო სასამართლოების მხრიდან 312-ე მუხლის იმგვარ განმარტებას, რომელიც ცოდნის ელემენტს არ თვლის აუცილებლად. გამოდის, რომ გადაწყვეტილებით, მართალია, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მომჩივნის მოთხოვნა, მაგრამ კიდევ უფრო მყარი გარანტია შეექმნა ქონების შემძენს. მისი დაცვა გამოირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მან იცის საჩივრის არსებობის შესახებ. თუმცა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო უფრო ფართოდ მიმოიხილავს არსებულ პრობლემატიკას, რომლის სწორი ანალიზიც სახელმწიფოს აყენებს გამოწვევის წინაშე, შექმნას საკუთრების უფლების დაცვის სრულფასოვანი მექანიზმი. სასამართლო გადაწყვეტილება ვერ გასცდებოდა კონსტიტუციური სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს და ვერ შეაფასებდა მთელი საკანონმდებლო რეგულირების კოსტიტუციურობის საკითხს, რომელიც განაპირობებს საკუთრების უფლების დაცვას, თუმცა, საკითხზე მსჯელობისას გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც უფრო კომპლექსურ მოწესრიგებას საჭიროებს და ვერ შემოიფარგლება მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის დამცავი ნორმის დეფინიციის დაზუსტებით. გადაწყვეტილების ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ რეგისტრირებული მესაკუთრის და ახა-

ლი შემძენის ინტერესთა შეპირისპირება არ წარმოადგენს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს. ამრიგად, გადაწყვეტილებამ ნათლად წარმოაჩინა, რომ გამოსავალი კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის გარანტიის შესუსტებაში კი არა, სხვა საკანონმდებლო რეგულაციების თუ პრაქტიკული მექანიზმების სრულყოფაში უნდა მოიძებნოს.[8] სახელმწიფოს მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა ერთი მხარის უფლების დაცვის შესუსტება მეორის გაძლიერების ხარჯზე, არამედ ობიექტურად მცდარი ან დაუზუსტებელი რეგისტრაციების მინიმუმამდე დაყვანა და გაყალბებული საბუთებით გასხვისების შესაძლებლობის გამორიცხვა.

უფლების რეგისტრაციის ნამდვილობის შედავების გავრცელებული შემთხვევები შეეხება სანოტარო წესით დამოწმებული გასხვისების ხელშეკრულებების რეგისტრაციას. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის[9] მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სარეგისტრაციო განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით გათვალისწინებული სარეგისტრაციო დოკუმენტები და ინფორმაცია. არც კანონით და არც ინსტრუქციით[10] არ არის სავალდებულოდ დადგენილი, რომ სარეგისტრაციო განცხადებას უნდა ერთვოდეს დაინტერესებული პირის წერილობითი თანხმობა. კანონის მე-2 მუხლის „ზ" ქვეპუნქტში „დაინტერესებული პირი" განმარტებულია, როგორც – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს საგენტოს გადაწყვეტილება ან ქმედება. დავას არ უნდა იწვევდეს ის, რომ ამ ცნების დეფინიციაში ექცევა რეგისტრირებული მესაკუთრე, რომლის კუთვნილი უძრავი ქონების სხვა პირზე (შემძენზე) რეგისტრაციასაც შეეხება სარეგისტრაციო წარმოება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის"[11] მე-11 მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირი არის სარეგისტრაციო წარმოების მხარე. საჯარო რეესტრის პრაქტიკაში ასეთ დაინტერესებულ პირად განიხილება უშუალოდ განმცხადებელი. სანოტარო წესით დამოწმებული უძრავი ნივთის გასხვისების შესახებ გარიგების საფუძველზე კი სარეგისტრაციო სამსახურს, როგორც წესი, მიმართავს მხოლოდ ქონების შემძენი და გამსხვისებლის წერილობითი თანხმობის წარდგენა არ არის სავალდებულო. შემძენის რეგისტრაციამდე გამსხვისებელი ჯერ კიდევ მესაკუთრეა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხოლოდ ვალდებულება გააჩნია, გადასცეს ნივთი შემძენს. ამ ვალდებულების შესრულებაზე ნებას იგი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროსვე გამოხატავს, მაგრამ შემდგომ საკუთრების გადასვლა ფაქტობრივად მისი მონაწილეობის გარეშე ხდება და ინფორმაციაც კი არ მიეწოდება საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონი არ ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის[12] მე-13 მუხლით ყველა ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაწესებული ვალდებულებიდან რაიმე გამონაკლისს. შესაბამისად, ეს მუხლი მოქმედებს საჯარო რეესტრის მიმართ. გამოდის, რომ საჯარო რეესტრს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს რეგისტრაციის განხორციელების უფლება, თუკი დაინტერესებულ მხარეს, უძრავი ნივთის გამსხვისებელს, რომელიც რეგისტრაციის შედეგად „კარგავს" საკუთრების უფლებას, მიეცემა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი კი, მარეგისტრირებელ ორგანოს, ისევე როგორც ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, ავალდებულებს, დაინტერესებულ პირს აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველჰყოს მისი მონაწილეობა საქმეში. საჯარო რეესტრის პრაქტიკაში კი არ მოიძებნება მაგალითი, როდესაც სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილეობის მიზნით მარეგისტრირებელმა ორგანომ მოიწვია ქონების გამსხვისებელი (იგულისხმება სანოტარო წესით დადასტურებული, და არა – თავად საჯარო რეესტრის მიერ დამოწმებული ხელშეკრულებები). შეიძლება თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლით დადგენილი ვალდებულების იგნორირება იმაზე მითითებით, რომ თავად სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებებში, როგორც წესი, გამსხვისებელი წერილობით ანიჭებს შემძენს უფლებას, თავის სახელზე დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში უძრავი ნივთი? იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულება მხოლოდ მხარეთა შორის კერძო-სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს აწესრიგებს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარის მონაწილეობას იგი ვერ ჩაანაცვლებს. ამდენად, კანონით დადგენილი ფორმალური, პროცედურული წინაპირობა ამით ვერ ჩაითვლება დაცულად. თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად არის პრაქტიკულად შესაძლებელი სარეგისტრაციო წარმოების საკმაოდ მოკლე ვადაში (განსაკუთრებით – დაჩქარებული მომსახურების პირობებში) დაინტერესებული მხარის მოძიება და ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქართველოში მოსახლეობის ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრაციის ვალდებულების და საფოსტო ყუთის მექანიზმის არარსებობის პირობებში, შეტყობინების ადრესატისთვის ჩაბარება ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს როგორც კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა შორის, ისე – საჯარო დაწესებულებების, მათ შორის სასამართლოს მხრიდან კომუნიკაციისას. შესაბამისად, რეალობას მოწყვეტილი იქნება იმის წარმოდგენა, რომ საჯარო რეესტრი კანონით დადგენილ ვადაში შეძლებს რეგისტრაციის პროცედურაში დაინტერესებული პირის სახით ქონების გამსხვისებლის ჩართვას. შესაბამისად, უნდა მოიძებნოს გამოსავალი, რაც სარეგისტრაციო წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველჰყოფს ერთის მხრივ დაინტერესებული პირის ჩართვას სარეგისტრაციო პროცედურაში და მეორეს მხრივ – არ დააბრკოლებს ბრუნვის სიმარტივეს. მიზანშეწონილი იქნება, თუკი გერმანული რეგულაციის მსგავსად, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონით დაწესდება დაინტერესებული პირის სავალდებულო წერილობითი თანხმობის წარდგენა სარეგისტრაციო განაცხადთან ერთად.[13] შეიძლება, დამატებით დაწესდეს, რომ წერილობითი თანხმობა შედგენილი უნდა იყოს სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენის დღეს. ამით ნაწილობრივ მაინც აღმოიფხვრება რეგისტრირებული მესაკუთრის უფლების დარღვევის შესაძლებლობა და მესაკუთრეს საშუალება მიეცემა, უშუალოდ რეგისტრაციის პროცესში კიდევ ერთხელ დააფიქსიროს თავისი პოზიცია ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით.

ამგვარად, გარკვეული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული რეგულაციების შემოღებით შესაძლებელია საკუთრების უფლების დაცვის გარანტიების გაძლიერება ისე, რომ მნიშვნელოვნად არ შეიზღუდოს მარტივი და იაფი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფის ინტერესი და ამავდროულად, განმტკიცდეს ბრუნვის სტაბილურობა, რადგან სტაბილური ბრუნვა წარმოუდგენელია რეგისტრირებული საკუთრების უფლების რღვევის მუდმივი საფრთხის არსებობის პირობებში.

სახელმწიფოს მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა ერთი მხარის უფლების დაცვის შესუსტება მეორის გაძლიერების ხარჯზე, არამედ ობიექტურად მცდარი ან დაუზუსტებელი რეგისტრაციების მინიმუმამდე დაყვანა და გაყალბებული საბუთებით გასხვისების შესაძლებლობის გამორიცხვა.

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

2 იხ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=89>[05.05.2019]

3 ამ მსჯელობის დასაბუთებისას საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ივლისის №ას-1298-1236-2014 გადაწყვეტილებაზე. უნდა ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებაში, მართალია, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის განმარტებისას საჩივრის შეტანის ობიექტურ ფაქტთან ერთად შემძენის მიერ მისი ცოდნის სუბიექტური გარემოება არ არის მოხსენიებული, მაგრამ საქმის გადაწყვეტისთვის ამგვარი განმარტება არც იყო არსებითი, ვინაიდან საჩივრის შეტანის ფაქტობრივი გარემოება საქმეზე არ ყოფილა დადგენილი და ამ ფაქტის სამართლებრივი შეფასება ვერ იქნებოდა რელევანტური. სასამართლომ იმსჯელა საჯარო რეესტრის ჩანაწერის საფუძვლის _ სამკვიდრო მოწმობის ბათილობის წინაპირობების ცოდნაზე შემძენის მიერ და შედეგად, შემძენი კეთილსინდისიერად ჩაითვალა. თუმცა, ამ გადაწყვეტილების ანალიზის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა 312-ე მუხლში მოცემული წინაპირობის საერთო სასამართლოების მიერ არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობა.

4 იხ. ვოლფი/ველენჰოფერი, სანივთო სამართალი, 29-ე გამოცემა, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, თბილისი, 2016, გვ. 489-492

5 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 892-ე პარაგრაფი შემძენის დაცვას გამორიცხავს მხოლოდ შეძენის მომენტში რეგისტრირებული საჩივრის არსებობის შემთხვევაში. საჩივრის რეგისტრაციიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთიც შემსუბუქებული აქვს როგორც შემძენს, ისე _ მოდავე პირს. იხ. ჩაჩავა, ს., საჯარო რეესტრის პრეზუმფციასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეფასება, 2018 წ., გვ. 12-14 <https://idfi.ge/ge/october_14_2011_decision_of_constitutional_court_analyses> [04.05.2019]

6 <https://www.matsne.gov.ge/document/view/1427972?publication=0> [05.05.2019]

ძალადაკარგულია 2010 წლის 20 იანვრიდან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/88882?publication=0> [05.05.2019]

7 იხ. სუსგ 06.03.2015წ. საქმე №ას-1298-1236-2014

8 იხ. ჩაჩავა, ს., საჯარო რეესტრის პრეზუმფციასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეფასება, 2018 წ., გვ. 17-18 <https://idfi.ge/ge/october_14_2011_decision_of_constitutional_court_analyses> [04.05.2019]

9 იხ. <https://www.matsne.gov.ge/document/view/20560?publication=22> [05.05.2019]

10 იხ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/88882?publication=0> [05.05.2019]

11 იხ. იქვე

12 იხ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270> [05.05.2019]

13 იხ. ვოლფი/ველენჰოფერი, სანივთო სამართალი, 29-ე გამოცემა, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, თბილისი, 2016, გვ. 428-431

მედიაცია და ეფექტური მართლმსაჯულება

ავტორი: ირაკლი ყანდაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე, სამართლის დოქტორი

ყველა დროის საზოგადოებაში, ადამიანურ ურთიერთობებს ახასიათებს დავა და კონფლიქტი. დავა საზოგადოების ყველა ფენას ეხება, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, დავა ყოველდღიური რეალობაა სამეწარმეო სუბიექტებს, თუ მათი საქმიანობიდან გამომდინარე სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის.

თანამედროვე საზოგადოება, განსაკუთრებით მიდრეკილია დავებისადმი, რაც ავტომატურად სასამართლოს სარჩელებით გადატვირთულობას იწვევს, შედეგად განაპირობებს გახანგრძლივებულ და დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების სისტემას და მოდავე მხარეების ფინანსურ დანახარჯებს.[1] დავის მახასიათებელი დაძაბულობის, ნერვიულობის, ფიზიკური და ემოციური დესტაბილიზაციის, დავასთან დაკავშირებული დროის და ფინანსების დანახარჯის გათვალისწინებით საზოგადოება და სამეწარმეო სუბიექტები მუდამ ფიქრობდნენ და დღესაც ფიქრობენ თუ როგორ და რა მექანიზმებით მოახერხონ მათი მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალება, დაძაბულობის კერების ეფექტური ჩახშობა და იმის მოხერხება, რომ ურთიერთობები კონფლიქტის მეორე მხარესთან გაგრძელდეს ჰარმონიულად.

ამ მიზნით, საზოგადოება დავის გადაწყვეტის ეფექტური გზების მუდმივ ძიებაში იყო, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს და მოერგებოდა მხარეთა რეალურ ინტერესებს, მსგავსი ძიება და დაგეგმარება ავტომატურად სამართლებრივ გზებამდე მიდის და ამ მიმართულებით, მათ შორის, მთავარი, არის სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკა ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესს და საჭიროებას და თანმდევად პასუხობდეს იმ ინტერესს, რაც სახელმწიფოს მთავარ შემადგენელს – მოქალაქეებს აქვთ და ესაჭიროებათ.

საერთაშორისო პერსპექტივიდან მარტივი, ეფექტური, დროული და ხელმისაწვდომი ფორმების არსებობა დავის გადაწყვეტის მიზნით, არის დღევანდელი საჭიროება.[2]

შესაბამისად, კონფლიქტში ჩართული მხარეები მუდამ ცდილობდნენ მოეძებნათ ის გზები და საშუალებები, რაც მათ კონფლიქტს, ნაცვლად გახანგრძლივებული პროცესისა და დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვისა, უფრო ეფექტურად გადაწყვეტდა და მათ შორის შეამცირებდა რისკებს, დავის მხარეებს შეუნარჩუნებდა ერთმანეთთან შემდგომი ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობას, რაც, როგორც წესი, შეუძლებელია გახანგრძლივებულ და არაპროგნოზირებადი სასამართლო საქმისწარმოების დროს. თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს, ამ ეტაპზე ვაღიაროთ, რომ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის უფრო გავრცელებული ფორმა სასამართლო საქმისწარმოებაა, ვიდრე მისი რომელიმე ალტერნატიული საშუალებით მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის მცდელობა.[3]

აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის ფონზე სახელმწიფოებრივი ინტერესიც თანხვედრი იყო და არის იმ საჭიროებისა, რაზეც ზემოთ არის საუბარი, რადგან ერთი მხრივ, მსგავსი შესაძლებლობების განვითარებით, სასამართლო ხელისუფლებას ეძლევა საშუალება ერთგვარი განმუხტვის, მასთან აკუმულირებული და მიმდინარე საქმისწარმოებების, ხოლო მეორე მხრივ, სრულდება დიდი სოციალური ფუნქცია, როდესაც მხარეები სასამართლოს ნაცვლად, სხვა კანონიერი გზებით დავის ამოწურვის მცდელობისას უფრო მეტად ინარჩუნებენ ერთმანეთთან ურთიერთობის რესურსს, რადგან ამ ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით მხარეებს შორის მოგებული და წაგებული მხარის სინდრომი მათ არ ეუფლებათ, რაც უადვილებთ საზოგადოების წარმომადგენლებს და ბიზნესს, ორმაგად, კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან გააგრძელონ თანაცხოვრება თუ საქმიანი ურთიერთობის ქონა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როგორც სახელმწიფოს ინტერესშია მაკრო დონეზე, ასევე თითოეული დავის მხარის ინტერესშია მიკრო დონეზე გამოინახოს დროის და ფინანსების კუთხით ეფექტური დავის გადაწყვეტის ისეთი მექანიზმი, რომელიც მისცემს მხარეებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს, რესურსების რეალურად დაზოგვის საშუალებას და იქნება სოციალური მშვიდობის წინაპირობა.

> **მედიაცია განიმარტება, როგორც პროცესი, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს თავად აღმოფხვრან სადავო საკითხები.**

აქვე აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებს შორის თუ პირებს შორის არსებული სამართლებრივი დავის კანონიერი აღმოფხვრის სისტემის შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებაა. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შექმნა, (რაც ერთგვარი კრებსითი[4] სახელწოდებაა სხვადასხვა ალტერნატიული მექანიზმისა), ორგანიზება და ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს მიერ[5] ორკესტრირებული პროცესი უნდა იყოს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში. შესაბამისად, მარტივია ლოგიკა, რადგან სახელმწიფო წარმოადგენს დავის ალტერნატიული საშუალებების სერვისების რეალურ მიმწოდებელს მომხმარებლებისთვის. სასამართლო, თავის მხრივ, როგორც სახელმწიფო ხელისუფალი ვალდებულია იმ სამართლებრივი პოლიტიკის გატარებაზე, რაც დაკავშირებულია დავის ალტერნატიული საშუალებების გამართულ საქმიანობას შეუწყოს ყოველმხრივ ხელი, თუმცა ეს არ უნდა გახდეს სასამართლოსთვის მიმართვის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის გარანტირებული და აღიარებული უფლების ხელის შემშლელი.[6]

ზემოაღნიშნული საჭიროებების და რეალობის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკური და შედეგობრივად პროგნოზირებადი იყო და არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ სოციალური დაძაბულობის და საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების შედეგიანი აღმოფხვრის ეფექტურ მექანიზმებს, ფართო გავრცელება და გამოყენება საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, ისევე როგორც სახელმწიფოების, მათ შორის საერთაშორისო დონეზე მათი პოლიტიკური თუ სამართლებრივი გაერთიანებების მყარად გამოვლენილი ნება, ხელი შეეწყოს მედიაციის მაგალითზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვას ყოველდღიურობაში, რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე მართლაც მკვიდრდება თითქმის ყველა სახელმწიფოში, როგორც დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური ალტერნატიული საშუალება, მედიაციისთვის მახასიათებელი ფორმების ჩათვლით. ამ კუთხით ისიც გასათვალისწინებელია, რომ რიგ ქვეყნებს ისტორიულად მოსდევთ მედიაციის მეთოდიკით ან მსგავსი ფორმებით დავების გადაწყვეტის გამოცდილება, რაც, როგორც წესი, დადებით როლს თამაშობს ამ ინსტიტუტის დღე-

აქტუალური საკითხები ქართულ სამართალში

ვანდელ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრირების თვალსაზრისით. მედიაცია განიმარტება, როგორც პროცესი, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს თავად აღმოფხვრან სადავო საკითხები.

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში, რომელსაც ახასიათებს მესამე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით, კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში, კონფლიქტის მხარეებისათვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დელეგირება, რაც მედიაციის ევროპული და არამხოლოდ აღქმის მთავარი მახასიათებელი თვისებაა. მედიაცია კონფლიქტის რეგულირების ეფექტურ ალტერნატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს.[7]

მედიაციის დამკვიდრების მთავარი მიზანია მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებით დაასრულონ დავა და აღმოფხვრან კონფლიქტი საკუთარი ხელით, რა დროსაც უბრალოდ კი არ ასრულებენ მეორე მხარესთან დავას, არამედ ქმნიან წინაპირობას მხარესთან საქმიანი თუ პირადი ურთიერთობის სამომავლოდ ცივილურ ფორმებში გაგრძელების, რაშიც მედიაცია რეალურად ეხმარება მხარეებს, რადგან მედიაციის დროს ის კი არ უნდა გაირჩეს თუ ვინ რა გააკეთა წარსულში, არამედ მხარეებმა, არსებული ჩიხური სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი უნდა მოიძიონ, რათა გაგრძელდეს სამომავლო ურთიერთობა მათი ინტერესების შესაბამისად; მედიაცია ეხმარება მხარეებს თვითგამორკვევაში, მოდავე მხარეების ერთმანეთისადმი მოთხოვნების რეალური მიზეზების და მიდგომის ამოცნობაში. ხშირად შეხვდებით იურიდიულ ლიტერატურას, სადაც მედიაცია „მომავალზე ორიენტირებული პროცესის"[8] სახელით მოიხსენება; მედიაცია იძლევა საშუალებას მხარეებმა ხანგრძლივვადიანი შედეგი მიიღონ პროცესის წარმატებით წარმართვის და დასრულების შემთხვევაში, მით უფრო, რომ მედიაციის გამოყენება კონფლიქტში მყოფ მხარეებს დავის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო ადრეულ სტადიაზე მოხდება მედიაციის ინიცირება მით უფრო მაღალია დავის შეთანხმებით დასრულების პერსპექტივა.

მედიაციის გამოყენებით მხარეები სწორედ საკუთარი სიმართლის დაფიქსირებას ცდილობენ ეთანხმების გზით, ხოლო რამდენად არის ეს სამართლიანი ორივე მხარისთვის, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება მხარეების მიერ არის მისაღები, ზოგადად სამართლიანობა მედიაციის ცნების მახასიათებელი სტანდარტია.

მედიაციის მეშვეობით მხარეები ცდილობენ საკუთარი სიმართლე შეათანხმონ ერთმანეთთან, რათა სამართლის ნორმებმა არ გადაწყვიტოს ის, რაც მათ მიაჩნიათ რომ არის სწორი, რადგან კარგად მოეხსენება ყველას, რომ რიგ შემთხვევაში სამართლიანობა და კანონიერება არ არის თანხვედრი თეზები, შესაბამისად, მედიაციის გამოყენებით მხარეები სწორედ საკუთარი სიმართლის დაფიქსირებას ცდილობენ შეთანხმების გზით, ხოლო რამდენად არის ეს სამართლიანი ორივე მხარისთვის, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება მხარეების მიერ არის მისაღები, ზოგადად სამართლიანობა მედიაციის ცნების მახასიათებელი სტანდარტია.[9]

მედიაციის სწორედ აღქმისთვის მნშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციით ისინი მუდამ სარგებელს იღებენ, კერძოდ, შესაძლოა მედიაცია კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო, რაც შესაძლოა შემდგომში გახდეს წინაპირობა დავის დასრულების. შესაბამისად მედიაციის პროცესში მონაწილეობას მხარეებისთვის ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი თუ მხარეს ესმის მედიაციის შინაარსი და იცის თუ როგორ გამოიყენოს ის ინფორმაცია, რაც ამ პროცესმა მისცა მას. ხშირია ლიტერატურაში, როდესაც მედიაციას ახასიათებენ ორივე მხარისთვის მომგებიან პროცესად,[10] რადგან მედიაციის სწორი და ეფექტური გამოყენებით ორივე მხარეს შეუძლია საკუთარი ინტერესების სასარგებლო შეთანხმებას მიაღწიოს; მაშინ როდესაც, სასამართლო საქმისწარმოების თუ საარბიტრაჟო საქმისწარმოების შედეგად დახარჯული ადამიანური თუ ფინანსური დანახარჯით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ მიღწეული გამარჯვება მოჩვენებითი.

მედიაცია არის კონფიდენციალური პროცესი, რომელშიც ნებაყოფლობითობის საფუძველზე ჩართული მხარეები მესამე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შუამავალი პირის ჩართულობით, რომელსაც რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია, ცდილობენ სასამართლოს გარეშე მიაღწიონ მათი ინტერესებისთვის მისაღებ შეთანხმებას, კერძოდ, გამონახონ ერთმანეთის ინტერესების[11] გათვალისწინებით ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების პირობები.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის თანამედროვე მოდელი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება აბსოლუტური ნოვაციაა ქართულ სამართლებრივ რეალობაში, მისი შესწავლა ერთდროულად მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო წრეების, ასევე ქართველი პრაქტიკოსი იურისტებისათვის, რომელთაც კიდევ უფრო აქტიურად მოუწევთ მედიაციის პროცესში ჩართვა მედიატორისა თუ მხარის წარმომადგენლის ფუნქციით.

1 Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2.

2 Carvalho J.M., Carvalho C., Online Dispute Resolution Platform in Alberto de Franceschi (ed), European Contract Law and the Digital Single Market –The Implications of the Digital Revolution, Intersentia, 2016, 245, 246.

3 Pfisterer T., Einigung und Mediation in Posch W., Schleifer W., Ferz S., Konfliktlosung im Konsens, Schiedsgerichtbarkeit, Diversion, Mediation, Leykam BuchVerlag, Graz, 2010, 78.

4 Genn H., Judging Civil Justice, Cambridge University Press, New York, 2010, 80.

5 De Palo G., Trevors M.B., Arbitration and Mediation in the Southern Mediterranean Countries, Kluwer Law International, 2007, 15.

6 Genn H., Judging Civil Justice, Cambridge University Press, New York, 2010, 80.

7Berkel G., Zur Diskussion gestellt: Deal Mediation als Konfliktbeilegung, Zeitschrift für Konfliktmanagement (ZKM), Verlag Otto Schmidt, Köln, 2018, 61.

8 Trossen A., Mediation (un)geregelt, Win-Management Verlag, Mühlberg, 2014, 470.

9 Steffek F., Unberath H., (eds), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.

10 Deixler-Hübner A., Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 21.

11 Bäumerich M., Güterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker&Humblot, Berlin, 2015, 23.

აქტუალური საკითხები ქართულ სამართალში

საქართველოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის

სამართლებრივი ასპექტები

ავტორები: ანა ჯალაღონია, გურამ მღებრიშვილი



აქტუალური საკითხები ქართულ სამართალში

გურამ მღებრიშვილი

საერთაშორისო სამართლის და ურთიერთობების ბაკალავრი. ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების მიმართულების მაგისტრი. კომპანია ,,ვინგფორს" ჯგუფის მმართველი პარტნიორი

ანა ჯალაღონია

ადვოკატი, სამართლის მაგისტრი, საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების დოქტორანტი. მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის პრეზიდენტი

რიგი საკანონმდებლო ხარვეზებისა და კოლიზიური ნორმების გათვალისწინებით, არსებული რეალობა თიზ-ების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აშორებს მისი შექმნის მიზანს.

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ) არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები. საქართველოში ამ მომენტისათვის 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ოპერირებს. თბილისში, ფოთში და ორი ქუთაისში. თიზ-ის შექმნის იდეა საკმაოდ კომპლექსური და მრავალსარგებლიანია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, თიზ-ი იდეალური პროექტია განვითარებადი ეკონომიკისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

თიზ-ის ქართული კანონმდებლობის ფორმირების მომენტში, მთავრობის იდეა მდგომარეობდა საქართველოში თიზების მეშვეობით გადამამუშავებელი ინდუსტრიებისა და სხვადასხვა საწარმოების მოზიდვაში, რომლებიც აქტიურ როლს შეასრულებდნენ ეკონომიკური დოვლათის გენერირებაში, დასაქმებისა და ექსპორტის სტიმულირების გზით, რაც როგორც არაპირდაპირ, ასევე პირდაპირ გავლენას მოახდენდა ქვეყნის რეგიონალურ განვითარებაზე. თუმცა იმისათვის, რომ პროექტი წარმატებული იყოს, პირველხარისხოვნად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს, როგორც პროექტის ინიციატორის მხრიდან მოხდეს შესაბამისი წინაპირობის შექმნა.

სამწუხაროდ ჩვენს რეალობაში 2010 წელს პირველი თიზ-ის გახსნის დღიდან, თიზ-ის წარმატებისათვის ვერც სახელმწიფომ შეასრულა აქტიური მხარდამჭერის როლი ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფისა და ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერის კუთხით, ვერც თიზ-ის ოპერატორებმა შესძლეს სათანადო ინვესტიციების განხორციელება თიზ-ების ინფრასტრუქტურების განსავითარებლად და საბოლოო ეტაპზე 2018 წლის ოქტომბერში კომერციული ბანკების მიერ ყოვლად დაუსაბუთებელმა და დისკრიმინაციულად გამკაცრებულმა საბანკო რეგულაციებმა ფაქტიურად საბანკო ანგარიშების გარეშე დატოვა თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიები, რითაც შეუძლებელი გახადა დასახული მიზნის მიღწევა. რიგი საკანონმდებლო ხარვეზებისა და კოლიზიური ნორმების გათვალისწინებით, არსებული რეალობა თიზ-ების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აშორებს მისი შექმნის მიზანს. გასათვალისწინებელია, რომ თიზ-ში დარეგისტრირებულ კომპანიებს არ აქვთ უფლება, ადგილობრივ კომპანიებთან უშუალო კავშირი დაამყარონ გარკვეული სერვისის მისაღებად, ვინაიდან მათ ეკრძალებათ ქართულ სამართლებრივ სივრცეში რეგისტრირებულ კომპანიებთან თანამშრომლობა გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (საგადასახადო კოდექსის 25 -ე მუხლი მე -5 პუნქტი). საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილით, კი საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლება განსაზღვროს თიზ-ის საწარმოს მიერ არარეზიდენტისათვის გასაწევი მომსახურების სახეები, რომელიც გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის ჩაითვლება თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განხორციელებულ ნებადართულ საქმიანობად. ხსენებული მომსახურების სახეები ჯერ მთავრობას არ განუსაზღვრავს, რაც ქმნის ბუნდოვანებას კანონმდებლობის აღქმის კუთხით და საჭიროებს სწრაფ გადაწყვეტას (ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტში სხვადასხვა დონეზე კონსულტაციისას ვიღებთ ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს ამ ნორმის იურიდიულ აღქმასთან დაკავშირებით). გაუგებრობების აცილების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს უკვე გადაეგზავნა წერილი იმ მომსახურებათა ჩამონათვალის შეთავაზებით, რომელიც შესაძლებელია დაამტკიცოს საქართველოს მთავრობამ. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონის მოთხოვნის შესაბამისად მითითებული გამონაკლისი შემთხვევების დროს საწარმოს ეკისრება დამატებითი საგადასახადო ტვირთი 4% ოდენობით სრული ბრუნვის ოდენობიდან რაც, როგორც წესი მნიშვნელოვან სახსრებს წარმოადგენს (საგადასახადო კოდექსის 25 მუხლი მე-2 პუნქტი). შესაბამისად ქართულ კომპანიებთან თანამშრომლობა შეზღუდული და არარენტაბელურია.

მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ თიზ-ში არსებული

აქტუალური საკითხები ქართულ სამართალში

უძრავი ქონება თიზ-ის ადმინისტრაციის საკუთრებაა, რაც ინვესტორების ინტერესის უკუგდებას იწვევს. რთულია მოახდინო ინვესტირება იმ ობიექტში, რომელიც ინვესტორის საკუთრება არასდროს იქნება. საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაში, თუკი კანონით გათვალისწინებული იქნება ქონების აღნაგობის უფლებით ინვესტორებისთვის გადაცემის შესაძლებლობა, მაშინ მნიშვნელოვნად გაიზრდება თიზ-ის კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციებიც.

9 წლიანმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ თიზ-ების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, საგადასახადო პრეფერენციები და ინფრასტრუქტურა არ იძლევა საკმარის საშუალებას განხორციელდეს თიზ-ების შექმნით დასახული ამბიციური გეგმა თიზ-ებში უცხოური ქარხნებისა თუ საწარმოების განთავსების. 2018 წლის მეორე ნახევრიდან კომერციული ბანკების მიერ გამკაცრებულმა საბანკო რეგულაციებმა განსაკუთრებით მწვავედ დააყენა თიზ-ების ფუნქციონირების საკითხი. კომერციული ბანკები, ხშირ შემთხვევაში, აბსოლუტურად უსაფუძვლოდ თავს არიდებენ არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ თიზ-ში დაფუძნებული კომპანიებისთვის ანგარიშების გახსნას. ეს პროცესი ხასიათდება გართულებული პროცედურებით, ბანკის შიდა პოლიტიკის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი უსაზღვრო მოთხოვნებით, ანგარიშების გახსნის შესახებ პასუხების მიღების პროცედურის 2 თვემდე გაგრძელებით, რეალურად კი ბანკები არარეზიდენტ სტარტაპებს ფაქტობრივად საერთოდ არ უხსნიან ანგარიშებს. შედეგად ზიანდება არა მხოლოდ თიზ-ების, არამედ ზოგადად ქვეყნის იმიჯი: ერთის მხრივ, მთავრობა საერთაშორისო დონეზე აცხადებს სურვილს მოიზიდოს არარეზიდენტი ბიზნესი, ახორციელებს რეფორმებს ბიზნესის გამარტივების მიზნით. მეორეს მხრივ, კომერციული ბანკები მოზიდულ ბიზნესს იძულებულს ხდის დატოვოს ქვეყნის ფინანსური სივრცე.

თუმცა, პარალელურად, გლობალური დეოფშორიზაციის პირობებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომლითაც ქართულმა თიზ-ებმა ეტაპობრივად დაიმკვიდრეს, რეგიონული და გარკვეულწილად ევრაზიის მასშტაბითაც, საშუამავლო და სავაჭრო კომპანიების მიკრო ჰაბის ფუნქცია. ყველაზე უფრო მეტად სპეციალური ეკონომიკური ზონების მაგალითებზე საქართველოს თიზები ფუნქციურად დაემსგავსნენ ემირატების და სინგაპურის თავისუფალ ზონებს, რომლებიც საერთაშორისო ბიზნესის მიერ გამოიყენება, როგორც ფიზიკური ბიზნეს პლაცდარმის შესაქმნელად, ამავდროულად საერთაშორისო ტრანზიტული ბიზნეს ოპერაციების განსახორციელებლად ე.წ. საერთაშორისო ბიზნესის ოპერირების ჰაბი. ზემოთხსენებული ბიზნეს კონცეფცია პირდაპირ ეხმიანება საქართველოს

მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ თიზ-ში არსებული უძრავი ქონება თიზ-ის ადმინისტრაციის საკუთრებაა, რაც ინვესტორების ინტერესის უკუგდებას იწვევს.

მთავრობის ახალ მნიშვნელოვან ინიციატივებს, რომელიც გულისხმობს არარეზიდენტი ბიზნესის მოზიდვას და ქვეყნის დამკვიდრებას არა მარტო ლოჯისტიკის, არამედ მთლიანად მომსახურების ჰაბ-ად და ექსპორტიორად.

საბანკო მიმართულება

წლების განმავლობაში ქართული თიზ-ების მმართველმა კომპანიებმა, საკმაოდ სერიოზული ძალისხმევა ჩადეს თიზ-ების, როგორც მიმზიდველი საგადასახადო პრეფერენციების მქონე იურისდიქციების საერთაშორისო არენაზე წარსადგენად. წლების მანძილზე უკვე გაწეული ცნობადობის და იმიჯის ამაღლების სამუშაოების შედეგად – საქართველო გამოჩნდა „ბიზნესის მარტივად კეთების რუქაზე“ და მიიქცია ბევრი საინტერესო ბიზნეს ოპერატორის ყურადღება, რაც გამოიხატა მათი მხრიდან საქართველოში, კერძოდ თიზ-ებში კომპანიების რეგისტრაციით და ქართული ბანკების მეშვეობით საერთაშორისო საბანკო ოპერაციების განხორციელებით. მოპოვებული ნდობა და დამყარებული საქმიანი ურთიერთობები საშუალებას იძლევა უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობები გავაფართოვოთ და მეორე ეტაპზე ჩვენი ქვეყანა შევთავაზოთ, როგორც უსაფრთხო, მომგებიან და ლიბერალურ გარემოდ მათი ფიზიკური ბიზნეს საქმიანობების განსახორციელებლად. ეს არის ლოგიკური ქრონოლოგია, უცხოური ინვესტიციის მოზიდვის. თუმცა ბოლო პერიოდში წარმოჩენილი პრობლემატიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება როგორც ქვეყნის მთავრობის მიერ არჩეულ კურსს, ქვეყანამ დაიმკვიდროს რეგიონული და საერთაშორისო ბიზნესის ოპერირების ჰაბის სტატუსი. ასევე, საგრძნობლად ამცირებს იმ რეპუტაციის სტატუს, რაც წლების განმავლობაში დიდი ძალისხმევის შედეგად იქნა მიღწეული.

ამ ეტაპზე თიზ-ების წინაშე არსებული დამატებითი პრობლემატიკა და შესაძლო გადაჭრის გზები:

- 4%-იანი გადასახადი ქართული ძირითადი საშუალებებისა თუ ნედლეულის შეტანაზე. პოტენციური გამოსავალი: მოიხსნას აღნიშნული გადასახადი საქართველოდან თიზ-ში შეტანისას და დაწესდეს თიზ-დან უცხოეთში ექსპორტისას, იმ შემთხვევაში თუ ამ ნედლეულს არ დამატება ღირებულება (Value-ad) ან არ მოხდება გადამუშავება.

- 4%-იანი გადასახადი თიზ-დან საქართველოში გაყიდვისას. გამოსავალი: ვინაიდან დღეს არსებული სტანდარტებით გადამამუშავებელ მრეწველობაში მარჟები არ სცილდება 10%-15%-ს, მიგვაჩნია, რომ გაუმართლებელია შენარჩუნდეს 4%-იანი გადასახადი ბრუნვაზე, ვინაიდან ბიზნესი უნდა მუშაობდეს დაახლოებით 28-29%-იანი მარჟით, რომ ეს 4%-იანი გადასახადი ბრუნვიდან გაუტოლდეს დღეს საქართველოში არსებულ მოგება+დივიდენდის გადასახადს. შესაბამისად ვთავაზობთ რამოდენიმე გამოსავალს 1) შემცირდეს 4%-იანი გადასახადი 2%-მდე 2) დროებით გათავისუფლდეს – 2-3 წლით 3) დაწესდეს ქვოტები საქართველოში შემოტანაზე.

- დროებითი შეტანა-გამოტანის რეჟიმი: პრაქტიკაში კომპანიებს ხშირად უწდებათ სხვადასხვა დანადგარების, თუ პროდუქციის დროებითი რეჟიმით შეტანის ან გამოტანის მოთხოვნა, მაგალითად : 1) თიზ-ში არსებული დანადგარის (ტრანსფორმატორები, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა) მწყობრიდან გამოსვლა და მისი გამოტანა-შეკეთება-უკან შეტანის აუცილებლობა 2) დროებით უძრავი ტექნიკის შეტანა (ქვის დამშლელი) დანადგარი, ე.წ. დრაბილკა 3) ჭურჭლის დროებით გამოტანა ნედლეულის საქართველოდან შეტანის მიზნით და სხვა. გამოსავალი: მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ხსენებული პრობლემის მოსაგვარებლად განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

- თიზ-ის ორგანიზატორის/ადმინისტრატორის შეზღუდვები სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე. გამოსავალი: მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ხსენებული პრობლემის მოსაგვარებლად განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

- თიზ-დან საქართველოში იმპორტის დაბეგვრის პრობლემა (თიზ-ში იმპორტირებული ფასიდან დაბეგვრა). გამოსავალი: მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ხსენებული პრობლემის მოსაგვარებლად განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

როგორ მოქმედებს მოზარდის განვითარებაზე **პენიტენციური სტრესი?**

ავტორი: მაია ცირამუა
ბავშვთა ფსიქოლოგი

მოულოდნელი, ბუნებრივი და ჩვეული მოვლენებისგან განსხვავებული სიტუაცია, ადამიანისათვის სტრესის წყარო ხდება. სტრესული სიტუაცია ზემოქმედებს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ადამიანის სოციალურ ცხოვრებაზე და პირად მიღწევებზე.

არსებობს შემდეგი სახის სტრესორები ანუ სტრესის გამომწვევები: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ექზისტენციალური, რაც ადამიანის ფიზიკურ, სოციალურ გარემოს, მის თვითაღქმას, პირად ბიოგრაფიას და ცხოვრების საზრისსაც კი უკავშირდება. ადამიანისათვის სტრესის წყაროდ შეიძლება იქცეს, როგორც წარუმატებლობა, ისე წარმატება. ამბობენ, რომ ადამინი გამუდმებით სტრესის ქვეშაა, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი სტრესორი ადამიანში დისტრესს იწვევს და ზოგჯერ რადიკალურად ცვლის მის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

ასევე, ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სტრეს-ამტანობით, ზოგი ძალიან მოწყვლადია და იოლად „ისტრესება“ ზოგი კი მეტ სიძლიერეს იჩენს.

პენიტენციურ სისტემაში მყოფი მოზარდი ორი სახის სტრესის ზემოქმედების ქვეშაა:

- გაურკვევლობის სტრესი (სასჯელის ზომის განსაზღვრამდე);
- პენიტენციური სტრესი.

გაურკვევლობის სტრესი, თავისი შინაარსით დაკავშირებულია არა მხოლოდ თავისუფლების შეზღუდვასთან, არამედ მოზარდის, როგორც ადამიანის, საბოლოო ბედის განსაზღვრასთან. როგორი ან რამდენი იქნება სასჯელის ზომა? სად და რა პირობებში მოუწევს მას სასჯელის მოხდა და რაც მთავარია სამომავლოდ ჩაიწერება თუ არა მის ბიოგრაფიაში – „დამნაშავე“.

პენიტენციურ სისტემაში მოხვედრის პირველ ეტაპზე გაურკვევლობის სტრესია წამყავნი. ესაა დრო, მოზარდის დაკავებიდან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე. გაურკვევლობის სტრესი სარისკოა მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის. მნიშვნელოვანია ყოველი დღე სასამართლო განაჩენის გამოტანამდე, ყოველი სიტყვა და დაპირება, რომელსაც ის ადვოკატისგან ისმენს. სამწუხაროდ, სასამართლო პროცესი, ზოგჯერ თვეების მანძილზე გრძელდება, ეს ყველაფერი მოზარდს ხანგრძლივი სტრესის ქვეშ ამყოფებს.

პენიტენციურ ფსიქოლოგიაში ყველაზე სარისკო პერიოდად მიიჩნევა ციხის ცხოვრების პირველი პერიოდი, ამ პერიოდში იზრდება ქრონიკული დაავადებების ჩამოყალიბების რისკი და რაც მთავარია – თვითდაზიანებისა და სუიციდის რისკი.

სტრეს-ფაქტორები, რომლებიც მოზარდებზე ზემოქმედებენ პენიტენციურ სისტემაში: ფიზიკური და სოციალური იზოლაცია, გულისხმობს ადამიანის იძულებით, ხანგრძლივ ყოფნას სივრცეში, სადაც შეზღუდულია ფიზიკური სივრცე და სოციალური ურთიერთობები. მოზარდი, რომელიც თავისი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე აქტიურია, მოძრავია, ენერგიულია განსაკუთრებით ძნელად ეგუება ასეთ შეზღუდვას, ის ძლიერ სენსორულ დეპრივაციას განიცდის, ნაკლებს ხედავს, ნაკლები ესმის და ზოგადად ნაკლებს აღიქვამს. უცვლელი გარემო, ერთიდაიგივე ადამიანები მისი ინტერაქტიური კომუნიკაციური ქმედებების გაიშვიათებას იწვევს. ასეთ გარემოში ყოფნა კი იწვევს კონფლიქტების სიხშირის ზრდას, ტოლერანტობის დაქვეითებას და არაადექვატური რეაქციების გახშირებას.

ამ გარემოებებმა ადამიანი შესაძლოა ტრაგიკულ ფინალამდე მიიყავნოს. პენიტენციურ სისტემაში მოხვედრის პირველ ეტაპზე სტატისტიკურად ხშირია თვითდაზიანებებისა და სუიციდური ქმედებების რიცხვი.

დახურულ სივრცეში, საკანში ყოფნა ადამიანისათვის განსაკუთრებით მძიმე ხდება, რადგან:

- ის მუდმივად ხელისგულზეა;
- მუდმივად დაძაბულია ემოციურად;
- მუდმივად ერთსა და იგივე როლშია;
- მუდმივად ტანჯავს სხვებისგან განმარტოების სურვილი, რომლის დაუკმაყოფილებლობასაც ადამიანი მიჰყავს ე. წ. ფსიქოლოგიურ სტრიპტიზამდე, ადამიანი კარგავს უნარს დაფაროს საკუთარი განცდები, მოსაზრებები, რაც გარკვეულწილად თავდაცვით რეაქციასაც წარმოადგენს;
- მისი განცდები პერსონიფიცირებულია და „აზრები გახსნილია, საჯაროა", რაც იწვევს ხშირ კონფლიქტებსა ან აუტიზაციას (ჩაკეტვას);
- ის იძულებულია გახდეს კონფორმისტი, დაჰყვეს ჯგუფის ნებას და აღიაროს ის, რაც ადრე მისთვის მიუღებელი იყო;
- შეზღუდულია რეჟიმით და ჯგუფის წესებით;
- მისთვის მძიმეა ერთსქესობრივი სოციალური სივრცე.

პენიტენციური სტრესი სხვადასხვა ფსიქოსომატურ, ემოციურ და ქცევით ცვლილებებში ვლინდება, განსაკუთრებით მოზარდებში ხშირია:

- იმუნური სისტემის დასუსტება;
- ენდოკრინული ცვლილებები;
- ნერვული და გულსისხლძარღვთა მიმოქცევის პრობლემები;
- ძილის და სიფხიზლის ფაზების დესინქრონიზაცია;
- ალერგიული რეაქციების გახშირება;
- მწვავე სტრესული აშლილობა;
- განგაშის განცდა;
- კოგნიტური ფუნქციონირების შესუსტება;
- დეპრესიული გამოვლინებები;
- აფექტური არამდგრადობა;
- ტოლერანტობის დარღვევა;
- დისოციაციური დარღვევები;
- საზრისის დაკარგვა;
- ციხის გარემოსთან ადაპტაცია – ცნობიერების კრიმინალიზაცია.

რა არის მოზარდთა დანაშაულის წინაპირობები?

„დელიქვენტური ქცევა – ისეთი ტიპის ქცევაა, რომელიც ცდება აღიარებულ, მისაღებ სოციალურ, კულტურულ და კანონიერ ნორმებს მოცემულ საზოგადოებაში". (United Nations World Youth Report, 2005).

ადრეულ ბავშვობაში არსებობს გარკვეული პრედიქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ჩაიდენს თუ არა მომავალში მოზარდი დელიქვენტურ ქცევას, ასეთ პრედიქტორთა რიგშია: დაუმორჩილებლობა, მაღალი იმპულსურობა, აგრესია, გამომწვევი ქცევა, ოპოზიციური ქცევა. (DSM-V, ICD-10 კლასიფიკაციები), თუმცა ცხადია ამ ნიშნების არსებობა არ არის განაჩენი ბავშვისთვის და ყოველთვის შეიძლება მათი მართვა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ამოქმედების საშუალებით.

დელიქვენტური, ანტისოციალური ქცევის მთავარ რისკ-ფაქტორს თვითონ მოზარდობის ასაკი წარმოადგენს. როგორც კვლევები აჩვენებს სტატისტიკურად მოზარდები წარმოადგენენ ყველა ტიპის საზოგადოების ყველაზე უფრო კრიმინალურ სეგმენტს, მაგრამ შესაბამისი პრევენციული პოლიტიკის ამოქმედების შემდეგ, მოზარდთა უმრავლესობა წყვეტს კრიმინალურ ქმედებას. ფსიქოლოგიაში მოზარდობის ასაკად განისაზღვრება 12-დან 18 წლამდე პერიოდი, რაც ამავდროულად პუბერტატის (სქესობრივი მომწიფების) ასაკს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პიროვნების განვითარებაში ერთ-ერთი გარდამტეხი პერიოდი, ერთგვარი ბუფერული ზონა ბავშვობასა და მოზარდობას შორის, რომელიც წინააღმდეგობებითაა სავსე. მოზარდი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას:

- მან უნდა მოიპოვოს სქესობრივი იდენტობა, რაც მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური ცვლილებების ფონზე მიმდინარეობს. პრე-პუბერტატის ასაკში (10–11 წელი) დიდი რაოდენობით ზრდის ჰორმონების გამოყოფა, სწრაფ ფიზიკურ ზრდას იწვევს, ხოლო პუბერტატის ასაკში მეორადი სასქესო ნიშნების გაჩენა, ცვლის მოზარდის თვითაღქმას. ყველაზე მთავარი კონფლიქტი მოზარდს საკუთარ შევცლილ სხეულთან აქვს. გარდა

ციფრები, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ ადასტურებს, რომ კონტროლზე, დასჯაზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისა თუ განათლების სისტემა ზრდის მოზარდთა დანაშაულის მაჩვენებელს.

ამისა ჰორმონალური ცვლილებები ცვლის მის ფსიქოემოციურ ცხოვრებასაც, რაც ემოციურ ლაბილობაში გამოიხატება;

- მან უნდა მოიპოვოს პიროვნული იდენტობა – ანუ გასცეს პასუხი საკმაოდ რთულ კითხვას – ვინ ვარ მე? როგორია სამყარო? ვინ არიან ჩემი მეგობრები? მოზარდის მთავარი ამოცანა თანატოლთა წრეში თვითდამკვიდრებაა, რისთვისაც მას სჭირდება ზრდასრულების სამყაროსგან გამოყოფა. მოზარდობის ასაკი ავტორიტეტების მსხვერევისა და ამბოხის ასაკია, სწორედ ამ გზით ახერხებს მოზარდი უფროსების სამყაროსგან გამიჯვნას და თანატოლებში დამკვიდრებას, რასაც თან ახლავს კონფლიქტები მშობლებთან, უფროსებთან. ამ ასაკში მოზარდი თანატოლთა წესების უპირობო მიმღები ხდება, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვინ არიან მისი მეგობრები, ესაა ფეხბურთელთა გუნდი თუ უბნის კრიმინალური დაჯგუფება, რადგან მოზარდის მორალს და ღირებულებებს სწორედ ისინი განსაზღვრავენ. მოზარდის ამ თავისებურების გამო ჯგუფური დანაშაულის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ამ ასაკში.

იმპულსურობა, ნეგატივიზმი, სახიფათო სიტუაციებისაკენ სწრაფვა, საზოგადოდ მიღებული ნორმების უგულებელყოფა, კონფლიქტი უფროსებთან, თანატოლთა წესებისადმი ტოლერანტობა – მოზარდობის ასაკის მახასიათებლებია. როგორც ვხედავთ მოზარდი თავისი ბუნებით რთულია", დელიქვენტია", რადგან წესების დარღვევა აქ გარკვეულ „ნორმას" წარმოადგენს. ცნობილი ბავშვთა ფსიქოანალიტიკოსი ანა ფროიდი მოზარდობის ასაკზე ამბობდა: „იყო ნორმალური ამ ასაკში, ეს უკვე არანორმალურია".

თუ ზემოთ ნათქვამს შევაჯამებთ დელიქვენტური ქცევის ერთ-ერთ ფაქტორს ასაკობრივი ფაქტორი წარმოადგენს, ანუ თვითონ მოზარდობის ასაკში შესვლა უკვე რისკ-ფაქტორია.

გასათვალიწინებელია შემდეგი ინდივიდუალური ფაქტორები:

- ადრეული ანტისოციალური ქცევა;
- ემოციური ფაქტორები: მაღალი ქცევითი აქტივობა და ქცევის შეკავების მექანიზმების სისუსტე;
- დაბალი/ სუსტი კოგნიტური განვითარება;
- დაბალი ინტელექტი;
- ჰიპერაქტივობა, კონცენტრაციის პრობლემები, მოუსვენრობა, აგრესია, გარისკვა.

როცა დელიქვენტური ქცევის რისკ-ფაქტორებზე ვსაუბრობთ გვერდს ვერ ავუვლით მოზარდის სოციალურ გარემოს, სადაც განვიხილავთ, როგორც უახლოეს სოციალურ ველს – ოჯახი, სანათესაო, თანატოლთა ჯრე, სკოლა, ასევე მთლიანად საზოგადოებას და კულტურულ თავისებურებებს. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები: ამ ფაქტორთა შორის წამყვანი როლი აქვს საზოგადოებაში არსებულ ნორმებს, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, მაგალითად, როგორია აღზრდის ტრადიცია, დასჯისა და წახალისების კულტურული ნორმები, როგორია განათლების სისტემა და რამდენადაა ის ორიენტირებული ბავშვის ინტერესებზე, როგორია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და ა. შ. ზოგადად როგორია ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკა ქვეყანაში. გარდა ამ ფაქტორებისა თავისთავად ცხადია გარკვეულ როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. ამ კუთხით, საინტერესოა გასული საუკუნის 80-იან და 90 -იან წლებში ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც საგრძნობლად იმატა არასრულწლოვანთა ძალადობრივმა დანაშაულმა, მათი მაჩვენებელი წინა პერიოდთან შედარებით 50 დან 80% მდე გაიზარდა. ინგლისსა და უელსში ბავშვთა ძალადობრივი დანაშაულის მაჩვენებელი ყოველ 100 000 მოსახლეზე 360 ს-შეადგენდა, აღმოსავლეთ გერმანიაში 580-ს, ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ კი მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა, ასევე გაიზარდა ძალადობრივი დანაშაული იტალიაში და ნიდერლანდებში, ამავე ქვეყნებში იმატა ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი ბავშვების რაოდენობამაც, სადაც მეტი წილი მათი თანატოლების მიერ იყო ჩადენილი. მოზარდთა დანაშაულის ამდაგვარი ზრდა ამ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაუკავშირდა, კერძოდ კი უმუშევრობისა და ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებლების ზრდას, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ძალადობრივი დანაშაულის მატება გერმანიაში ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ. როგორც მკვლევარები ამბობენ უმუშევრობა, იარაღის ხელმისაწვდომობა, ოჯახში ძალადობის შემთხვევების ზრდა წარმოადგენდა წამყვან ფაქტორებს მოზარდთა დანაშაულის ზრდისათვის.[1]

საინტერესო დაკვირვებაა მოზარდთა დანაშაულის მაჩვენებლების შემცირებაზე ბოლო წლების მანძილზე ისეთ ქვეყნებში, სადაც არასრულწოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკა შეიცვალა, სადაც არსებობს დელიქვენტური ქცევის პრევენციისა და ინტერვენციის პროგრამები. შეგვიძლია ვნახოთ მონაცემები ნიდერლანდების მაგალითზე:

მონაცემები ES. 1: 2005 წლის მარტიდან 2015 წლის მარტამდე დანაშაულის პირველად ჩამდენთა ტენდენცია



აქტუალური საკითხები ქართულ საგარეთალში

სკოლისა და განათლების პოლიტიკის ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანია:

- დეზორგანიზირებული სკოლა;
- დელიქვენტი ჯგუფების სიმრავლე სკოლასა და უბანში;
- დაბალი აკადემიური მოსწრება;
- სკოლის ხშირი გაცდენა;
- სკოლიდან გარიცხვა;
- დაბალი აკადემიური მოტივაცია, მისწრაფებები;
- თანატოლების წრიდან გარიყულობა;
- იარაღის/ ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა.

მაგალითად, 2009 წელს საქართველოში არასრულწოვანთა დაწესებულებაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პატიმრობაში მყოფი 154 მოზარდიდან 57% სკოლიდან იყო გარიცხული, მათ შორის 28% 4 -ჯერ იყო გარიცხული. ეს გახლავთ პერიოდი, როცა დამნაშავეებისადმი „ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკა ბავშვებზეც გავრცელდა, არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში, არამედ განათლების სისტემაშიც. ციფრები, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ ადასტურებს, რომ კონტროლზე, დასჯაზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისა თუ განათლების სისტემა ზრდის მოზარდთა დანაშაულის მაჩვენებელს.

ოჯახის ფაქტორები:

- ურთიერთობის ნაკლებობა მშობელსა და ბავშვს შორის (ჩარევის, მხარდაჭერის უქონლობა);
- ძალადობა ან ქრონიკური უყურადღებობა ბავშვის მიმართ;
- ძალადობა ოჯახში, კონფლიქტური მდგომარეობა;
- და-ძმის გავლენა;
- მშობლების გაშორება.
- მშობლების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები;
- ოჯახის სტრუქტურა;
- მრავალწევრიანი ოჯახი;
- ოჯახში ანტისოციალური ქცევები;
- არასრულწლოვანი მშობელი.

გასაკუთრებულ ფაქტორთა შორისაა ოჯახში ძალადობის გამოცდილება, 2012/13 წლებში საქართველოში არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ 167 მოზარდიდან, რომელიც იმ დროისათვის სასჯელს იხდიდა თითქმის 70 % -ს გამოცდილი ჰქონდა სისტემატური ფიზიკური ძალადობა ოჯახში, 12 % სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო. მშობელთა განქორწინება, ხშირი ოჯახური კონფლიქტები, ერთ-ერთი მშობლის (განსაკუთრებით დედის) შრომითი მიგრაცია – ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორებად დასახელდა.

ეს გახლავთ იმ ფაქტორთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც არასრულწოვანთა დანაშაულის წინაპირობა ხდება.

შემთხვევა პრაქტიკიდან: გოგა (სახელი შეცვლილია) ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, 17 წლის მოზარდი, სასჯელი მოიხადა ყაჩაღობის მუხლით. გოგას მამა ალკოჰოლზე დამოკიდებული 45 წლის მამაკაცი, უმუშევარი. დედა 38 წლის, თვითდასაქმებული. გოგას მამა ხშირად სვამდა. შინ დაბრუნებისას ტეხდა ჩხუბს და სკანდალს ნებისმიერი მიზეზის გამო. სცემდა მეუღლეს, რასაც ხშირად შესწრებია მისი მცირეწლოვანი შვილი. ერთხელ, როცა გოგამ დედის დახმარება გადაწყვიტა (11 წლის ასაკში) მამამ ის ბნელ ოთახში ჩაკეტა და ორი დღე დაატყვევა. ამ ამბის შემდეგ გოგას ძლიერი შიში დასჩემდა და მთვრალი მამის სახლში დაბრუნებისას მეზობლებთან იმალებოდა, მას ხშირად ესმოდა დედის განწირული კივილი, მაგრამ მის დახმარებას ვერ ახერხებდა.

13 წლის იყო გოგა როცა მშობლები გაეყარნენ. დედა უკრაინაში წავიდა სამუშაოდ და შვილსაც შესთავაზა მასთან ერთად წასულიყო, მაგრამ გოგამ მამასთან დარჩენა ამჯობინა. თავისი საქციელის მიზეზს დღემდე ვერ ხსნის, თუმცა ამბობს, რომ ის მამასთან საოცარ მიჯაჭვუ-

ლობას გრძნობდა, თან ეშინოდა და თან უყვარდა. `როცა წამოვიზარდე თითქოს საგანგებოდ ვცდილობდი მამა გამებრაზებინა, ალბათ მინდოდა ასე მიმეპყრო მისი ყურადღება. მეც დავიწყე სმა, რაზეც ის ძალიან ბრაზობდა. ფიზიკურად ძლიერი იყო – დამიჭერდა და ქამრით მცემდა, რამდენჯერმე რადიატორზე მიმაბა, რკინის ჯაჭვითაც ვუცემივარ. მამაჩემი არასდროს ინტერესდებოდა დავდიოდი თუ არა სკოლაში, არ მქონდა წიგნები, მთელ დროს ქუჩაში ვატარებდი.

მოგვიანებით გოგამ ღამით ქუჩაში ქალების და ახალგაზრდა გოგონების დაშინება დაიწყო, უსაფრდებოდა და თავს ესხმოდა, დანას მიადებდა, შემდეგ კი გარბოდა. `მათი ნივთები არაფერში მჭირდებოდა, ძალიან მსიამოვნებდა, როცა ისინი ჩემს ხელებში ცახცახებდნენ, ეს რამდენიმე წამი გრძელდებოდა, მაგარამ მაინც უდიდეს სიამოვნებას ვიღებდი.

17 წლის ასაკში გოგა ყაჩაღობის მუხლით გაასამართლეს.

ეს შემთხვევა კარგად აჩვენებს როგორ შეიძლება იქცეს ძალადობის მსხვერპლი მოძალადედ. მართალია გოგამ მამასთან მიმართებაში მსხვერპლის როლი შეინარჩუნა, მაგრამ თავად იქცა მოძალადედ, რითაც შეძლო საკუთარი უსუსურობის და არასრულფასოვნების განცდის კომპენსაცია.

როგორია ახალი ხედვა და რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი მართლმსაჯულების სისტემაში?

პირველი საკითხი, რომელზეც უნდა დავფიქრდეთ როცა ვცდილობთ შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემა – არის შემდეგი: როგორ განვსაზღვროთ ბავშვის საუკეთესო ინტერესი როცა ის კანონს არღვევს ? როგორ უნდა დაინახოს ბავშვი მართლმსაჯულების სისტემამ

როცა მართლმსაჯულების სისტემა მოზარდებს სთავაზობს ან დამნაშავის ან მსხვერპლის იდენტობას, აქ ბავშვის საუკეთესო ინტერესზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

და რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ერთის მხრივ არ შეფერხდეს ბავშვის განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ თავიდან ავიცილოთ დანაშაულის რეციდივი? და რაც მთავარია რა უნდა გააცნობიეროს სისტემაში მოხვედრილმა ბავშვმა და რა უნდა გაიგოს საკუთარი თავის შესახებ? ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი კითხვაა, რადგან საქმე მოზარდებს ეხებათ, ადამიანებს, რომლებიც საკუთარი იდენტობის ძიების პროცესში არიან, ანუ მათ ასაკობრივ ამოცანას წარმოადგენს იპოვონ პასუხი კითხვაზე – ვინ ვარ მე? ხშირად, სწორედ ამ კითხვაზე მოზარდობაში ნაპოვნი პასუხი განსაზღვრავს ადამიანის მომავალს.

ტრადიციულ მართლმსაჯულების სისტემაში რამდენიმე მოქმედი პირია: პოლიციელი, პროკურორი, ბავშვის ადვოკატი, ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, მოსამართლე. როგორია თითოეული მოქმედი პირის როლი? პროკურორი ამტკიცებს ბრალს, რომ ბავშვმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული. საწინააღმდეგო პოზიციაზეა ადვოკატი – ის ამტკიცებს, რომ ბავშვი უდანაშაულოა ან არსებობდა უამრავი მიზეზი, რამაც ის დანაშაულამდე მიიყვანა. მოსამართლემ კი თავისი გადაწყვეტილებებით პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: რა კანონი დაირღვა? ვინ დაარღვია კანონი? რა სასჯელს იმსახურებს ის? თუ ლოგიკას გავყვებით ამ პროცესში ჩართული მოზარდი ან დამნაშავის იდენტობას ირგებს ან მსხვერპლისას.

რას ნიშნავს დამნაშავის იდენტობა?

სამეცნიერო კვლევები აჩვენებს, რომ მოზარდობის ასაკში ციხეში გატარებული წლები კრიმინალური იდენტობის ჩამოყალიბებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მისგან გათავისუფლებას. ციხიდან გამოსული მოზარდი იდენტობის გარეშე რჩება, ის ეძებს ადგილს, სადაც მიიღებენ, აღიარებენ, საზოგადოება კი მას სტიგმას სთავაზობს, მოზარდსა და საზოგადოებას შორის დიდი კედელია, გაუცხოებაა, რაც ხშირად დანაშაულის რეციდივით სრულდება.

მოზარდები, რომლებიც იდენტობის მოპოვების ეტაპს ციხის კედლებში გადიან, სერიოზული საფრთხის წინაშე დგებიან იმ თვალსაზრისით, რომ სასჯელის ამოწურვის შემდეგ როცა ისინი თავისუფლებას უბრუნდებიან, ვერ ახერხებენ გარემოსთან ადაპტაციას იმის გამო, რომ მათი იდენტობა მთლიანად ციხის გარემოსთან არის დაკავშირებული, მე-დამნაშავე, მე-ყოფილი პატიმარი, ეს ე.წ. სტიგმატიზებული იმიჯი, მათ ხელს უშლის ახალი იდენტობის მოპოვებაში, შესაძლოა ითქვას, რომ ისინი იდენტობის გარეშე რჩებიან, ამიტომ არაცნობიერად უბრუნდებიან ჩვეულ იდენტობას, რაც დანაშაულის რეციდივში გამოიხატება. საფრთხე კიდევ უფრო სერიოზულ სახეს იძენს საზოგადოებაში, სადაც რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის რესურსი მაღალი არ არის.

რას ნიშნავს მსხვერპლის იდენტობა?

ადამიანს მსხვერპლობიდან ორი „გამოსავალი" აქვს – ან მარადიულად მსხვერპლის როლში რჩება, ან გადადის შურისძიების მოდუსში და თავად ხდება მოძალადე. მსხვერპლის ბუნება პარადოქსულია, რაც კარგად აჩვენა მარტინ სელიგმანის ექსპერიმენტმა. ის ძაღლების სამ ჯგუფს ჩაკეტილ სივრცეში ათავსებდა და მათზე ელექტროდენით ზემოქმედებდა, პირველ

ჯგუფში მყოფ ძაღლებს შეეძლოთ ბერკეტზე ცხვირის დაჭერით დენის წყაროს გათიშვა, მეორე ჯგუფში მყოფებს არანაირი კონტროლი არ ჰქონდათ სიტუაციაზე და დაკავშირებული იყვნენ პირველებთან. მათზე დენის ზემოქმედება წყდებოდა, თუ პირველი ჯგუფის ძაღლები ბერკეტს აღმოაჩენდნენ. მესამე ჯგუფის ძაღლებზე კი არანაირი ზემოქმედება არ ხდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ, ყველა ძაღლს ათავსებდნენ სივრცეში, საიდანაც შესაძლებელი იყო გაქცევა.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ელექტროდენით ზემოქმედებას გაექცნენ პირველი და მესამე ჯგუფის ძაღლები, ხოლო მეორე ჯგუფის ძაღლები კი ადგილზე დარჩნენ. ისინი საცოდავად წკმუტუნებდნენ, იატაკზე წვებოდნენ და ელოდებოდნენ მორიგ დარტყმას.

გამოდის, როცა მოზარდი მსხვერპლის იდენტობაში შეგვყავს, სწორედ ასეთი ცხოვრებისათვის ვწირავთ. როცა მართლმსაჯულების სისტემა მოზარდებს სთავაზობს ან დამნაშავის ან მსხვერპლის იდენტობას, აქ ბავშვის საუკეთესო ინტერესზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემა სხვა მიდგომებს გვთავაზობს-არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც საქართველოში 2016 წლის დასაწყისში მივიღეთ, რადიკალურად განსხვავებულია. აქ არ არსებობს დილემა – მსხვერპლი თუ დამნაშავე. აქ მთავარი, მოზარდის საუკეთესო ინტერესია და ის, რომ ყველა ბავშვის მხარეს უნდა დადგეს- პოლიციელიც, პროკურორიც, ადვოკატიც, მოსამართლეც და მთლიანად საზოგადოება. ყველა ერთის წინააღმდეგ კი არა, როგორც ტრადიციულ მართლმსაჯულებაში იყო, ყველა ბავშვისათვის და ბავშვის გარშემო. როგორ შეიძლება ამას მივაღწიოთ? საქართველოში 2010 წლიდან მოქმედებს აღდგენითი მართლმსაჯულების ფილოსოფიაზე აგებული განრიდებისა და მედიაციის პროგრამა – რის მიხედვითაც 14 წელს მიღწეული პირის მიერ პირველი კანონდარღვევის დროს პროკურორს აქვს უფლება გამოიყენოს დისკრეციის მექანიზმი და სისხლისსამართებრივ პასუხისმგებლობას განარიდოს მოზარდი, მას არ აკავებს

პოლიცია, პროკურორი უკავშირდება სოცმუშაკს, რომელმაც უნდა შეისწავლოს ბავშვის სოციალური გარემო, განსაზღვროს დანაშაულის ჩადენის რა რისკ-ფაქტორები აქვს მას, როგორც პირად დონეზე, ასევე ოჯახის ან უახლოესი მიკროსოციუმის დონეზე (უბანი, თანატოლთა წრე, სკოლა და ა. შ.) ასევე ის იძიებს დანაშაულის თავიდან აცილების ფაქტორებს, რომელსაც ჩვენ დამცავ ფაქტორებს ვუწოდებთ, რომელიც ასევე ფასდება ყველა დონეზე (პიროვნების, ოჯახის, სკოლის და სხვა), ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით ხდება მისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა. რა პირობა უნდა შეასრულოს მოზარდმა, რაც მას დაეხმარება იმაში, რომ იგრძნოს პასუხისმგებლობა, გაიაზროს ზიანი. დაზარალებულისათვის და ზოგადად საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის გასააზრებლად ამავე პროგრამის მიხედვით საქმეში ერთვება მედიატორი, ეს სრულიად ახალი პროფესიაა, ესაა ადამიანი, რომელიც მოზარდსა და დაზარალებულ მხარეს შორის მუშაობს. ის ხვდება როგორც დაზარალებულს, ასევე არასრულწლოვანს და ამზადებს მათ კონფერენციისათვის, სადაც ისინი პირისპირ ხვდებიან ერთმანეთს. შეხვედრა საკმაოდ დიდ ემოციურ დატვირთვას ატარებს, ეს შეხვედრა ეხმარება მოზარდს გაიაზროს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი, ხოლო დაზარალებული ხედავს მონანიების ემოციებს მოზარდის მხრიდან. სწორედ ესაა აღდგენითი მართლმსაჯულების მთავარი ამოცანა. აქ სხვა კითხვები ისმება – ვინ დაშავდა? რა ზიანი მიადგა მას? ვისი ვალდებულებაა ამ ზიანის (განსაკუთრებით მორალური ზიანის) დაკმაყოფილება. ასეთი შეხვედრის შემდეგ ფორმდება სამოქალაქო ხელშეკრულების პირობები, რაზეც ხელს აწერს ყველა პირი, მათ შორის არასრულწლოვანი და დაზარალებული.

საილუსტრაციოდ ერთ შემთხვევას განვიხილავთ – 45 წლის მოქალაქემ საცურაო აუზზე პირადი ნივთები დაკარგა, როგორც გაირკვა მისი ნივთები 15 წლის მოზარდმა მოიპარა.

რა რისკ და დამცავი ფაქტორები მოიძია სოცმუშაკმა?

რისკ – ფაქტორები: მოზარდი დისფუნქციური ოჯახიდანაა, მშობლები გაცილებულები არიან, დედა ალკოჰოლს მოიხმარს, ისინი თბილისის ერთ-ერთ კრიმინალურ უბანში ცხოვრობენ, უკვე მეორე წელია ბიჭი სისტემატურად აცდენს სკოლას, აქვს კონფლიქტები პედაგოგებთან, სწავლაში ჩამორჩება, არის ჰიპერაქტიული, იოლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

დამცავი ფაქტორები: მოზარდს ჰყავს მზრუნველი ბებია და ბიძა დედის მხრიდან, რომელიც მას ავტომანქანების შეკეთებას ასწავლის, ბიჭი მოტივირებულია ისწავლოს ეს საქმე, სოციალური მომსახურების სააგენტო განიხილავს საკითხს მეურვეობა ბიძას მიაკუთვნოს, ბიჭი თანახმაა დაასრულოს სავალდებულო ცხრა კლასი და სწავლა გააგრძელოს პროფესიულ სასწავლებელში, ის წერს ლექსებს და კარგად ცეკვავს.

რა მოისმინა მედიაციის კონფერენციაზე მოზარდმა როცა დაზარალებულს დაუსვეს მარტივი შეკითხვა – რა იგრძენით როცა აღმოაჩინეთ, რომ პირადი ნივთები ტელეფონი და საათი დაკარგეთ? – „პირველად დავკარგე რაღაც და ამან ძალიან დამაბნია, მერე სასტიკად გავბრაზდი და პოლიციას შევატყობინე. საშინელი უმწეობა ვიგრძენი, როცა წარმოვიდგინე, რომ ყველა ჩემი საკონტაქტო ინფორმაცია დავკარგე, დამიჯერებთ, ზეპირად მეუღლის ტელეფონის ნომერიც კი არ ვიცი? ამასწინათ ბავშვობის მეგობარი შემხვდა, სკოლის მერე არ მინახავს და ისე ძალიან გამიხარდა. ახლა ისევ დავკარგე, რადგან ტელეფონი ამ ყმაწვილმა უკვე გაყიდა. საათზეც მინდა გითხრთ, მისი ღირებულება ალბათ სულ 20 ლარია, თუმცა ჩემთვის ძვირფასი ნივთი იყო, სკოლა როცა დავამთავრე მამამ მაშინ მაჩუქა, წარწერაც კი ჰქონდა უკანა მხარეს – სახსოვრად ნიკოს მამისგან. მამა დიდი ხანია გარდამეცვალა და როცა საათი დავკარგე, ჩავთვალე, რომ მამა მეორედ მომიკვდა“. ამავე შეხვედრაზე დაზარალებული ისმენს მოზარდის მოტივს ის ამბობს: „მე ნივთები გავყიდე, რადგან მინდოდა ახალი კედები მეყიდა, მეორე დღეს „ტუსოვკაზე“ უნდა წავსულიყავი და იქ ვერ მივიდოდი ჩემი ძველი ფეხსაცმლით. ახლა ვხედები, რომ არ ღირდა ამის გაკეთება“.

პირობად მოზარდს განესაზღვრა დაეხმაროს ბიძას, რომელიც მანქანების შემკეთებელია, ექსტერნად ჩააბაროს მე-9 კლასის გამოცდები და იაროს დანაშაულის პრევენციის ცენტრში სოციალური უნარების ტრენინგზე.

რა მოხდა ამ პროცესის შედეგად? მოზარდმა დაინახა ზიანი, რომელიც მიადგა დაზარალებულს, მან გაიაზრა საკუთარი დანაშაული, მნიშვნელოვანია მან საკუთარ ქმედებას ასე შეხედოს – „ეს მე გავაკეთე – ეს ჩემი ქცევაა და პასუხსაც მე ვაგებ!“ და ცხადია მას მოუწევს გარკვეული პირობების შესრულება კიდევ რამდენიმე თვის მანძილზე. სწორედ ესაა არასრულწოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა – გაიაზროს დანაშაული, არ შეწყდეს მისი განვითარება, არ დაეღოს „დამნაშავის“ სტიგმა და აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ნამოქმედარზე. ის თავს დამნაშავედ გრძნობს, მაგრამ არ ჰქვია „დამნაშავე“ კანონის ენაზე, რადგან ის არ ითვლება სისხლის სამართლის დამნაშავედ.

სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოება კი ვალდებულია ყველა სახის რესურსი გამოიყენოს, ყველა ღონე იხმაროს დანაშაულის ადრეული პრევენციისათვის, რაც გულისხმობს ბავშვებისა და მოზარდებისათვის სოციალური კეთილდღეობის, ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობის და ძალადობისაგან დაცული გარემოს უზრუნველყოფას.

1 Based on a presentation by Christian Pfeiffer, Kriminologisches Forschungsinstitut Niedersachsen (Hanover, Germany) May 1998

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მიმოხილვა

ავტორი: რაისა ლიპარტელიანი
ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე
საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე.

დღეს საქართველოში ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას კვლავ დასაქმების ადგილებზე შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ყოველ წელს მზარდია საწარმოო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რიცხვი. 2011-2018 წლებში სამუშაო ადგილებზე გარდაიცვალა 376, ხოლო დაშავდა 1081 დასაქმებული. მხოლოდ მიმდინარე წელს გარდაიცვალა 10 და დაშავდა 11 ადამიანი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით ვერ უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების სრულყოფილი აღრიცხვის წარმოებასაც კი, რამდენადაც ზემოაღნიშნული სტატისტიკა ეფუძნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს და შესაბამისად, მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომელზეც გამოძიება დაიწყო. აქედან გამომდინარე, მასში არ ხვდება უამრავი საწარმოო შემთხვევა, რომელიც არ გახმაურდა და სამუშაო ადგილებს არ გასცდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გარკვეული გარიგებების თუ სხვადასხვა მიზეზებიდან (დაშინება, შანტაჟი) გამომდინარე, რის გამოც დასაქმებულებმა დუმილი არჩიეს. ამას გარდა, აღნიშნულ სტატისტიკაში არ ფიგურირებს პროფესიული დაავადებების შედეგად დაშავებული და გარდაცვლილი დასაქმებულები და ასევე ისინი, რომელთა გარდაცვალებაც საწარმოო ტრავმ(ებ)ის შედეგად არა მყისიერად, არამედ მოგვიანებით დადგა.

2006 წლიდან, ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად, ქვეყანაში ფაქტობრივად გაუქმდა შრომის კანონმდებლობა და მოიშალა შრომის ბაზრის მარეგულირებელი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, მათ შორის გაუქმდა შრომის ინსპექცია. შრომის ინსპექციის გაუქმების ერთ–ერთ მიზეზად მისი კორუფციული ბუნება დასახელდა, თუმცა სახელმწიფოს მის რეფორმირებაზე ან სხვა უფრო ეფექტური, ალტერნატიული მექანიზმით ჩანაცვლებაზე წლების მანძილზე არ უზრუნია.

ამგვარი დამოკიდებულება გახდა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო (შსო, ევროკომისია, აშშ სახელმწიფო დეპარატმენტი და ა.შ.) ორგანიზაციის კრიტიკის საგანი. მიუხედევად ამისა, შრომის უსაფრთხოების საკითხებს არ შეხებია არც შრომის კოდექსში 2013 წელს შესული ცვლილებები და დამატებები.

2014 წელს ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოთა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა და მისი 2014–2016 წლების დღის წესრიგიდან გამომდინარე აქტუალური გახდა შრომის ინსპექციის შექმნის საკითხი, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტები ადგენს საქართველოს ცალსახა და უპირობო ვალდებულებას, შექმნას შრომის პირობების ინსპექტირების ეფექტური მექანიზმები შსო–ს სტანდარტებთნ სრულ შესაბამისობაში. აღნიშნული გულისხმობს ინსპექციის უპირობო დაშვებას ნებისმიერ საუშაო ადგილზე და შრომის კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოოფას. ასოცირების შეთანხმების 30–ე დანართი ითვალისწინებს 40 ევროდირექტივას, რომელთანაც ჩვენი კანონმდებლობის დაახლოვება გვევალება, მათ შორის ძირითადი ნაწილი (26 დირექტივა) სწორედ შრომის უსაფრთხოებას ეხება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელწმიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კერძოდ; 2015 წლის 2 მარტს შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცის სამინისტროს შემადგენლობაში, რომელიც მოქმედებდა „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ შესაბამისად, რომელიც არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს და არ მოიცავდა სანქციების მექანიზმს.

ხანგრძლივი დისკუსიებისა და განხილვების შედეგად 2018 წლის 7 მარტს მიღებულ იქნა კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც 2019 წლის 19 თებერვალს ორგანულ კანონად იქცა.

ამ კანონის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლე-

2011-2018 წლებში სამუშაო ადგილებზე გარდაიცვალა 376, ხოლო დაშავდა 1081 დასაქმებული. მხოლოდ მიმდინარე წელს გარდაიცვალა 10 და დაშავდა 11 ადამიანი.

ბას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას.

არსებული კანონის მოქმედების სფერო ამ ეტაპზე შეზღუდულია და ვრცელდება მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, რომლის ჩამონათვალიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.[1]

2019 წლის 1 სექტებრიდან კი კანონი გავრცელდება შრომის უსაფრთხოების სფეროში ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი" და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე

კანონის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია მოახდინოს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების საქმიანობათა რეგისტრაცია, წინაღმდეგ შემთხვევაში ის დაექვემდებარება ფინანსურ სანქციას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებითობის შემთხვევაში 2000 ლარით

ამავე კანონით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე. ამ მიზნით მან უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, განახორციელოს შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, მოახდინოს დასაქმებულთა თემებიდან შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ თემებთან, უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარება, სახანძრო უსაფრთხოება და საჭიროების შემთხვევაში ევაკუაცია დასაქმების ადგილებში. ამას გარდა, დამსაქმებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების რეგისტრაცია, მოკვლევა და შესაბამისი ანგარიშგება;

- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე დასაქმებული უბედური შემთხვევის დაზღვევით ;

- რეგულარულად შეამოწმოს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა;

- პერიოდულად, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები;

- იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე; შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია; იზრუნოს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე;

- ფუნქციების განაწილების საფუძველზე წერილობით განსაზღვროს შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა;

- უზრუნველყოს რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ იმ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის დაშვება, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სპეციალური სწავლება ან ინსტრუქტაჟი;

- გამოავლინოს და აღრიცხოს რისკის შემცველი სამუშაო ადგილები;

- არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება;

- დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს უფასოდ, ანაზღაურების შენარჩუნებით, სამუშაო საათებში ჩაუტაროს მათთვის გასაგებ ენაზე სწავლება/ტრენინგი და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების შესახებ;

- ვალდებულია დანიშნოს ერთი ან ერთზე მეტი დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტად ან აღნიშნული მიზნით შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური და ა.შ.;

კანონი დასაქმებულს ასევე ანიჭებს მთელ რიგ უფლებამოსილებებს, რომ-გორიცაა უფლება:

- მიიღოს ინფორმაცია საფრთხის შემცველი ფაქტორების, რისკის შეფასების შედეგების, შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად დამსაქმებლის მიერ მიღებული ღონისძიებების შესახებ;

- უარი თქვას იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას;

- სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დამსაქმებელს მოსთხოვოს სხვა მუდმივ ან დროებით სამუშაო ადგილზე გადაყვანა ან სამუშაო პირობების შემსუბუქება, ან დღის ცვლაში გადაყვანა, თუ ღამის ცვლა საზიანოა დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის, ხოლო დამსაქმებელს აქვს შესაბამისი ვაკანსია და დასაქმებული აკმაყოფილებს ამ ვაკანსიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენსაცია სამუშაო სივრცეში მიყენებული ზიანისათვის და ა.შ.;

ამასთან, დასაქმებული ვალდებულია:

- იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესებით;

- ითანამშრომლოს დამსაქმებელთან და დასაქმებულთა წარმომადგენელთან შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისთვის;

- შეასრულოს სამუშაო, მართოს და გამოიყენოს სამუშაო ტექნიკა, მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები დამსაქმებლის ინსტრუქციებისა და

მუშაობისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად;

- ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან იმ დროის განმავლობაში, რამდენიც საჭირო იქნება სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვისათვის ნებისმიერი დავალების ან ზედამხედველი ორგანოს მოთხოვნების შესასრულებლად;

- ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან მანამდე, სანამ დამსაქმებელი არ დარწმუნდება, რომ სამუშაო გარემო და სამუშაო პირობები საშიშროებას არ უქმნის დასაქმებულთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას;

- დაუყოვნებლივ აცნობოს დამსაქმებელს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც სხვა პირს შეემთხვა და რომელსაც დასაქმებული შეესწრო, ან რომელიც დასაქმებულს შეემთხვა;

- შრომის უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების, ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის განხორციელების მიზნით თავისივე რიგებიდან აირჩიოს შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელი. და.აშ.

კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგების და ერთ ჯერზე დაშავებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად:

ა) მსუბუქი უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;

ბ) საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;

გ) მძიმე უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;

დ) ფატალური უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;

ე) მასობრივი უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

აღნიშნულთან კავშირებით, დამსაქმებელი ვალდებულია საშუალო სიმძიმის, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების აცნობოს ზედამხედველ ორგანოს შემთხვევიდან 24 საათის განმავლობაში და შეინახოს შესაბამისი მტკიცებულებები.

კანონით განსაზღვრული ზედამხედველი ორგანოს ქვეშ მოიაზრება საქართველოს ოკუირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი.

აღნიშნული დეპარტამენტი 2019 წლის სექტემბრიდან უფლებამოსი-

ლი იქნება წინასწარი შეტყობინების გარეშე შეამოწმოს ინსპექციისადმი დაქვემდებარებული ნებისმიერი სამუშაო სივრცე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს განახორციელოს სამუშაო სივრცის ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება, რაც აუცილებელია შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტიანი აღსრულებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად.

თუმცა, 2019 წლის 1 სექტემბრამდე შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოების ინსპექტორებისთვის საჭიროებს წინასწარ სასამართლოს ნებართვას, გარდა შემდეგი გამონაკლისებისა:

- შერჩევითი კონტროლით კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ;
- განმეორებითი შემოწმების მიზნით გონივრული ვადის ფარგლებში;
- სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დროს;

აღნიშნული დეპარტამენტის მიერ კანონდარღვევისთვის სანქციების გამოყენება დაიწყო 2018 წლის 1 აგვისტოდან.

კანონის 19-23-ე მუხლებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს: მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განხორციელება ამ საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე; ზედამხედველი ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა; საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა და ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა

სამართალდარღვევის ჩადენისთვის გამოიყენება შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: გაფრთხილება, ჯარიმა და სამუშაო პროცესის შეჩერება. ჯარიმის ოდენობა დამოკიდებულია დარღვევის სიმძიმესა და წინა, უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის ოდენობაზე და მერყეობს 100 ლარიდან 50 000 ლარამდე. დარღვევის სიმძიმის შეფასებისას კანონი გამოყოფს 3 ტიპის შეუსაბამობებს, როგორიცაა:

- არაარსებითი შეუსაბამობა -შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის.
- არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემულ მომენტში საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის.
- კრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის სექტემბრიდან „შრომის უსაფრთხოების შესახებ" კანონი მნიშვნელოვანწილად შესაბამისობაში მოდის შსო-ს სტანდარტებთან (№81, №155 კონვენციები), თუმცა კვლავ პრობლემად რჩება შრომის ინსპეტირების დეპარტამენტის მანდატის შემოფარგვლა მხოლოდ შრომის უსაფრთხოებით. იგი საერთოდ არ ეხება შრომით უფლებებს, მაშინ როდესაც ამ ორ კატეგორიას შორის ზღვარი და მიჯნა რეალურად არ არსებობს. საწარმოო შემთხვევათა დიდი ნაწილი სწორედ დასაქმებულთა ფიზიკური გადაღლილობიდან გამომდინარეობს, რაც მათი ისეთი შრომითი უფლებების უგულვებელყოფითაა განპირობებული, როგორიცაა: შვებულებით სარგებლობაზე უარი, ზეგანაკვეთური მუშაობა, ე.წ. ბიულეტენით ვერ სარგებლობა და ა.შ.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია შემდგომი ცვლილებები, რათა შრომის კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმი ეფექტური იყოს და შემცირდეს სამუშაო ადგილებზე გარადცვლილთა და დაშავებულთა საგანგაშო სტატისტიკა.

1 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის დადგენილება №381, მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე

ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია

8 ნოემბერი, თბილისი, 2019

ქართული ადვოკატურა 100 GEORGIAN BAR

1949 · 2019

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE